

ჩემი აფხაზეთი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო N24, საქთაგარი, 2013 წელი

“გვჩერა, რომ მწუხარება სიხარულით შეგვეცვლებოდა”, -

ბრძანებდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

ნათო კორსანტო

27 სექტემბერს სოხუმის დაცემიდან 20 წელი გასრულდა. შემდეგ კი ამ დღემ მთელი აფხაზეთის ბედით განსაზღვრა: 30 სექტემბერს ის მტერმა მთლიანად მიიტაცა.

მას აქეთ განუწყვეტილად ჩაგვრის ცხუმ-აფხაზეთის მაშინდელი მიტროპოლიტის, მეუფე დანიელის შეგონება თავისი მრევლისადმი: „აფხაზეთის დაცემა 27 სექტემბერს - ჯვართამაღლების - პატიოსანი და ცხოველმყოფელი ჯვრის ამალგების დღეს დაემთხვა. ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ გოლგოთა და ჯვარცმა სიკვდილით არ დამთავრებულა. არამედ მას მოჰყვა აღდგომა და ამალგება. ჩვენ მტკიცედ უნდა გვინდობდეს რომ მრავალტანჯულ აფხაზეთსაც ელოდება აღდგომა და ამალგება“.

მანამდე კი, ვიდრე ეს მოხდებოდა... 20 წლის შემდეგ დამდგარ 27 სექტემბერსაც ისევ მწუხარება უაფხაზეთო საქართველო, ისევ მწუხარება უქართველებოდ დარჩენილი აფხაზეთი...

და „ყოველთა მწუხარება სიხარული“ - ასე ჰქვია ხატს, რომელიც ამ 27 სექტემბრისთვის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის, ლოცვა-კურთხევით და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და აფხა-



გმირთა მოედანზე, ომში დაღუპულთა მემორიალთან

ზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით დაინერგა. ხატი „ყოველთა მწუხარება სიხარული“ ხატმწერმა თემურ ჯაფარიძემ შექმნა და ის ქართველთა და აფხაზთა შორის მშვიდობის, თანხმობისა და ერთსულოვნების აღდგენის იდეას გამოხატავს.

27 სექტემბერს, დილით, გმირთა მოედანზე, ომში დაღუპულთა მემორიალი ყვავილებით შეამკეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ვახტანგ ყოლბაიამ, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯ-

დომარემ გია გვაზავამ, აფხაზეთის მთავრობის წევრებმა, ომის ვეტერანებმა, სასულიერო პირებმა, დევნილმა საზოგადოებამ და სტუდენტებმა. ყველამ ერთად კიდევ ერთხელ პატივი მიაგეს აფხაზეთის ომში დაღუპულებს.

გაზრდილება 80-2 გვარდია

„საქთაგარის
ნაქვალეზო“

გვ. 3



გული, რომელიც
ქალაქში დარჩა

გვ. 4



“ჩემი ზიზა,
სოფა გვიჩირს,
მაგრამ მაინც
დავბრუნდებით”

გვ. 5



საქართველოზე
დარდითა და
ფიქრით

გვ. 8



ხატი: „ყოველთა მწუხარება სიხარული“

ლოცვა

ჰო, ყოვლადწმიდაო დედუფალო ღვთისმშობელო, შუამდგომელო ჩუენო, მოჰხედე წილხვდომილსა ერსა შენსა და განაქარვე მზაკვრობანი მტერთა ჩუენთანი. ქართველთა და აფხაზთა, შეგვინდე კაცისკვლანი და ყოველნი საქმენი ბოროტნი.

მოგვმადლე მშვიდობა, თანხმობა და ერთსულოვნება, განანათლე დაბნელებული გონება ჩუენი, ყოვლადუბინოო და დაჰნერგე გულთა შინა ჩუენთა ჭეშმარიტი სინანული და ურთიერთმიტევება.

დალოცე ღვთისმშობელო ქალწულო ძმობა ქართველთა და აფხაზთა, რათა ღვთისა და მოყვასის სიყვარულით აღვსილნი ერთობით ვადიდებდეთ ყოვლადწმიდასა სახელსა ძისა შენისასა, რომელსა შუენის დიდება, პატივი და თაყუანისცემა, თანა მამით და სულით წმიდითურთ, ან და მარადის და უკუნიითი უკუნისამდე, ამინ!

“გვჯერა, რომ მწუხარება სიხარულით შეგვეცვლება”, - ბრძანებდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

პირველი გვარდიან

შემდეგ კი საგანგებოდ ამ მოვლენისთვის შექმნილი ხატი „ყოველთა მწუხარეთა სიხარული“, სახალხო მსვლელობის თანხლებით, წმინდა სამების საკათედრო ტაძარში წააბრძანეს.სამების საკათედრო ტაძარში უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II ხატი აკურთხა. ხატი - „ყოველთა მწუხარეთა სიხარული“ აფხაზეთში 20 წლის წინ განვითარებული ტრაგიკული მოვლენების დროს დაღუპულთა სულების მოხსენიებისა და შერიგების მლოცველთათვის დაინერა.

„ჩვენ გვჯერა, რომ მწუხარება სიხარულით შეგვეცვლება“, - მიმართა პატრიარქმა ტაძარში შეკრებილ მრევლს იმდღევანდელ ქადაგებაში, რომელშიც ასევე ნათქვამია:

„დღევანდელ დღეს დაეცა აფხაზეთი, ვინ არის გამარჯვებული? არც არავინ! ყველა წაგებულია - საქართველოც, აფხაზეთიც, რუსეთიც, ყველა, ვინც მონაწილეობდა ამ საშინელ ტრაგედიაში. მე ძალიან განვიცდი ყოველივე ამას. ღვთის ღოცვა-კურთხევით, წლების განმავლობაში აფხაზეთის მიტროპოლიტი ვიყავი. არ მახსოვს არც ერთი გაუგებრობა, უთანხმოება აფხაზებსა და ქართველებს შორის. მათ შორის იყო თანხმობა და სიყვარული, იყვნენ ერთი ოჯახი, ერთი სულიერება, მაგრამ ეშმაკს შეშურდა ჩვენი ერთობა და დააპირა მათი დაყოფა. დღესაც ზოგიერთი ცდილობს, ეკლის ხლართები და ბეტონის ღობე ააშენოს აფხაზეთსა და საქართველოს შორის, რუსეთსა და საქართველოს შორის, მაგრამ ეს ამაოა: ქართველი, აფხაზი და ოსი - ყველანი ვგრძნობთ, ვიცით, ვაანალიზებთ, რომ ამას აკეთებს მტერი, რომელიც საბოლოოდ წაგებული დარჩება.

აფხაზეთი ავტონომიურ რესპუბლიკებს შორის ყველაზე მდიდარი იყო. ქართველები ნაკლებად მოდიოდნენ ეკლესიაში, მაგრამ ნათლობას, ჯვრისწერას აუცილებლად ასრულებდნენ. როცა ვუსაყვედურებდი, რატომ არ მოდიხართ-მეთქი, ასე ამბობდნენ - მანდარინის ბაღები გვაქვს მოსავლელიო. არადა, ყველაფერი იქ დარჩათ.

განსაკუთრებით მინდა, გავიხსენო ზოგიერთი ადამიანი, ვინც აფხაზეთში იყო. უპირველესად, ჟიული შარტავა, ის იყო



უშიშარი, გმირი. როცა ქუთათელ-განათელი მიტროპოლიტი ჩასულა აფხაზეთში, ჟიულის ზეცისკენ აღუპყრია ხელი და უთქვამს: - ღმერთმა მე დამსაჯოს და საქართველო გადაარჩინოსო.

აფხაზეთის ტრაგედიიდან რამდენიმე ხნის შემდეგ უცნობი პირისაგან მივიღე წერილი. ის მწერდა, რომ ესწრებოდა ჟიული შარტავას დახვრეტას და ის ისე ღირსეულად შეხვდა სიკვდილს, რომ თქვენ უნდა იამაყოთ, ასეთი თავდადებული შვილები რომ ჰყავს საქართველოსო. ჩვენ მართლა ვამაყობთ მისით. აქვე არ შემიძლია არ ვახსენო რაულ ეშბა, ლორიკ მარშანია, იური

ანუა, მამა ანდრია, გურამ გაბისკირია და მრავალი სხვა. ესენი ანთებული სანთლები არიან წინაშე ღვთისა და არასოდეს ჩაქრებიან. სანთელი ანათებს, მაგრამ ილევა, ესენი ანთებული, დაუღუპელი სანთლებია.

მე დღეს მივიღე გადანწყვეტილება: დიდი ღვანლისთვის, დიდი თავდადებული ღვანლისთვის ჟიული შარტავა დაჯილდოვდეს უმაღლესი ჯილდოთი - წმინდა გიორგის ოქროს ორდენით. ღმერთმა დალოცოს მისი სული“.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა საქართველოს მთლიანობისთვის ბრძოლისთვის ასევე უმაღლესი ჯილდოთი - წმიდა ნინოს

ოქროს ორდენით დააჯილდოვა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო.

ამასთანავე, პატრიარქის ღოცვა კურთხევით ამიერიდან ყოველ 23 მაისს, სვიმონ კანანელის ხსენების დღეს იქნება აფხაზეთის დღე და გაიმართება აფხაზეთობა.

შემდეგ უწმინდესმა და უნეტარესმა, ილია II-მ სოხუმის დაცემიდან 20 წლისთავთან დაკავშირებით, აფხაზეთის ომში დაღუპული ადამიანების, როგორც ქართველების, ისე აფხაზებისა და სხვა ერის წარმომადგენლების მოსახსენიებელი პანაშვიდი გადაიხადა.

სასწავლო პროცესი შეფერხების გარეშე განახლდა

ნინო ლოხაძე

ახალი სასწავლო წელი საქართველოს საჯარო სკოლებში 2013 წლის 16 სექტემბერს დაიწყო. აფხაზეთის საჯარო სკოლებმა სასწავლო პროცესი შეფერხების გარეშე განაახლეს. სკოლებში განხორციელდა სასწავლო კლასების რემონტი. აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს მიზნობრივი ქვეპროგრამის ფარგლებში, გაუმჯობესდა სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ინფრასტრუქტურა; მოხერხდა მათი სასკოლო, სპორტული და სხვა სახის ინვენტარით უზრუნველყოფა.

აფხაზეთის №2 საჯარო სკოლის ინფრასტრუქტურის მონესრიგების მიზ-

ნით, გამოყოფილ იქნა 3000 ლარი, ხოლო აფხაზეთის №2, №7 და №14 საჯარო სკოლებისათვის შეძენილ იქნა სხვადასხვა სახის სასკოლო და სპორტული ინვენტარი. №6 საჯარო სკოლაში განხორციელდა სპორტული მოედნის ნაწილობრივი შემოღობვა. სკოლის ადმინისტრაციის ინიციატივითა და ქ. ქუთაისის კეთილშინაობის სამსახურის მხარდაჭერით, სკოლასთან სიჩქარის შემაფერხებელი 2 ზოლი გაკეთდა.

აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრომ სკოლებისათვის სახელობო სწავლების ფარგლებში შეიძინა სხვადასხვა მატერიალური რესურსი. ამჟამად, სახელობო სწავლება ხორციელდება აფხაზეთის № 1, 2, 3, 5, 6, 7, 10 და 11 საჯარო სკოლებში.

აფხაზეთის საჯარო სკოლებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროექტის „მოსწავლეთა უფასო სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა“ ფარგლებში, გადაეცათ უფასო სასკოლო სახელმძღვანელოები. ასევე, სამინისტროს პროექტის „სკოლების ხელმისაწვდომობა“ ფარგლებში აფხაზეთის №7, №10, №11, №12 და №21 საჯარო სკოლის მოსწავლეები ისაგებლებენ უფასო სასკოლო ტრანსპორტით.

27 სექტემბერს აფხაზეთის №2 საჯარო სკოლის პედაგოგს რაისა სონგულიას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემ სამინისტროს ჯილდო-სამკერდე ნიშანი „ამაგდარი“ გადასცა.



თამარ სანიკიძე აფხაზეთის მე-2 საჯარო სკოლაში

ფრანკფურტში შეხვედრამდა

მაია შონია

24 სექტემბერს ხელოვნების სკოლა „აფხაზეთი - №1“-ს გერმანიის ქალაქ ფრანკფურტში არსებული ქართულ-გერმანული ასოციაციის დამფუძნებელი, ქართველი ემიგრანტი, მეცენატი, პიანისტი, გერმანიის მმართველი პარტიის წევრი ნინო ყამბეგაშვილი და ასოციაციის წარმომადგენელი შტეფან ფაუსტი ეწვივნენ.

ქართულ-გერმანული ასოციაციის მიზანია წარმატებული ახალგაზრდა ქართველი მუსიკოსების დახმარება. ამ მიზნით ასოციაციის წევრებმა სა-



ნინო ყამბეგაშვილი ხელოვნების სკოლა „აფხაზეთი - №1“-ში სტუმრობისას

ქართველოს რეგიონები შემოიარეს და ქართველი ბავშვების შემოქმედებას გაეცნენ.

სტუმრები ხელოვნების სკოლა „აფხაზეთი - №1“-ს მოსწავლეთა ორ კონცერტს დაესწრნენ. კონცერტები ხელოვნების სკოლის კამერულ და აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს დარბაზებში ჩატარდა. ხელოვნების სკოლის მოსწავლეებმა შეასრულეს საფორტეპიანო, სავიოლინო, გიტარის, სავსტრადო და აკადემიური ნაწარმოებები. ასევე, წარმოადგინეს ხალხური მუსიკა და ცეკვები, ბალეტი და თეატრალური ნომრები.

სტუმრები მოსწავლეთა გამოსვ-

ლებით აღფრთოვანდნენ. „ვამაყობთ თქვენით. მხარში დავიდგებით მთელი ჩემი ძალითა და შესაძლებლობებით. მაღლე შევხედებით ერთმანეთს ფრანკფურტში,“ - მოიწერა მერე გერმანიიდან ასოციაციის დამფუძნებელმა ნინო ყამბეგაშვილმა.

ხელოვნების სკოლა „აფხაზეთი - №1“-ის დირექტორის თამარ ახალაიას თქმით, „ქალბატონმა ნინო ყამბეგაშვილმა ხელოვნების სკოლა „აფხაზეთი - №1“-ის მოსწავლე თეო ხელაძე 1-3 ნოემბერს ფრანკფურტში დაგეგმილ საფორტეპიანო მუსიკის კონკურსზე - „ოქროს კლავიში“ მიიწვია.

„სექტემბრის ნაკვალევზე“

ნადო კორსანძია

ასე ერქვა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის აფხაზეთის ომში დაღუპულ მეომართა ხსოვნისადმი მიძღვნილ საღამოს, რომელიც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ორგანიზებით “თბილისის არტ-ჰოლში” გაიმართა.

საღამოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელ ვახტანგ ყოლბაიასთან ერთად ესრებოდნენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე გია გვაზავა, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრი დიმიტრი ჯაიანი, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრი დავით დარახველიძე, გაერთიანებული შტაბის უფროსის მოადგილე ვახტანგ კაპანაძე, რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილე ქეთევან ციხელაშვილი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და უმაღლესი საბჭოს წევრები, საქართველოს ვეტერანთა დეპარტამენტისა და დევნილი საზოგადოების წარმომადგენლები. ხსოვნის საღამოს სცენარის ავტორი და რეჟისორი იყო დრამატურგი ოთარ პერტახია.

მას აქეთ 20 წელი გავიდა და ჩვენ ყველანი “სექტემბრის ნაკვალევით” ნაირევენი დავდივართ. რაც დრო გადის, მით უფრო ცხადი ხდება, რომ “სექტემბრის ნაკვალევი” ქართველებსა და აფხაზებს კი არა თიშავს, არამედ აერთიანებს. ერთიც და მეორეც რუსული იმპერიული ზრახვების სამიზნეა და ამ ზრახვებსაც მხოლოდ ერთობით თუ დაძლევენ. შეიძ-



გია გვაზავა



დიმიტრი ჯაიანი



პირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრმა დავით დარახველიძემ და დასძინა: - ძალიან მინდა, ყველა დევნილს თავისი სახლი ჰქონდეს დანარჩენ საქართველოში, მაგრამ მე მინდა ისინი ბედნიერნი იყვნენ, ბედნიერნი კი მხოლოდ მშობლიურ მიწაზე იქნებიან. ამიტომაც, როცა რომელიმე მათგანს ბინის გასაღებს გადავცემ, ვეუბნები ხოლმე, ეს შენი დროებითი ჭერი ყოფილიყოს და ერთად დავბრუნებულიყავით აფხაზეთში.“



დავით დარახველიძე

წინა დღეს მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში სოხუმის დაცემის ოცი წლისთავისადმი მიძღვნილი საღამოდან - „გახსოვდეს აფხაზეთი!“ გამოყოლილი განწყობა გააგრძელა დიმიტრი ჯაიანმა, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრმა: „გუშინ მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში საოცარი საღამო ჩატარდა. იქ ცნობილი ადამიანები, აფხაზეთში ნაომარი უვაჟუკესი ბიჭები შეკრებილიყვნენ და აფხაზეთს, იქ დაღუპულ გმირებს იგონებდნენ. იმ შეხვედრაზე მეც ვილაპარაკე. გავისხენეთ ისტორია ბიძინა მგალობლიშვილისა, რომელსაც უთქვამს: მე სოხუმს ზურგს ვერ ვუჩვენებო და მართლაც იქ დარჩა. ვახსენე დიმა ჭურღულია, ჟიული შარტავა, სხვები და სხვები. შემდეგ კი დარბაზში დაბრუნებულს ერთმა ქალბატონმა მისაყვედურა: გენო ადამია რატომ არ ახსენეო. არადა, ის სხვა გმირებთან ერთად იმდენად განუყოფელია ჩვენგან, რომ მეგონა, გმირების ჩამოთვლა გენო ადამიათი დავინყე. გენო ადამია იყო კაცი, რომელიც ამშვენებდა ქალაქს. სამარადისო ხსოვნა მას, ყველა დაღუპულს.“

მშვიდობიანი თუ ომის ქარცეცხლში გახვეული სოხუმის კადრებმა ვერც ამჟამად დატოვა დარბაზი გულგრილად: სევდას კიდევ უფრო ამძაფრებდა აფხაზეთის სახელმწიფო კაპელის, ანსამბლ „დიოსკურიას“, პიანისტ ვალერიან შიუკაშვილის და სხვათა მიერ შესრულებული მუსიკალური ნომრები; მსახიობების მერაბ ბრეკაშვილისა და დავით ველიჯანაშვილის მიერ ნაკითხული ლექსები: გიორგი შერვაშიძის „ვა-რადა“ და გიორგი ლეონიძის „აფხიარცა“.

დასასრულ, ნონა გიუნაშვილმა წარმოადგინა ინსტალაცია „ქვემოთ მოთხრობილი აფხაზეთის ომისა და მშვიდობის ისტორია“.

აფხაზეთისთვის

25 სექტემბერს სამების საკათედრო ტაძრის ახალგაზრდობის სულიერებისა და ინტელექტუალურ ცენტრში ჩატარდა აფხაზეთიდან დევნილი მოზარდების შემეცნებითი პროექტის “ჩემი აფხაზეთი” დასკვნითი საღამო, რომელიცაფხაზეთში საომარი მოქმედებების დასრულების 20 წლისთავს მიეძღვნა.

გამოიფინა აფხაზეთის მოზარდების ნახატები, ნაწერები, ესეები, ჩანახატები - „ჩემი აფხაზეთი“; მერაბ კოსტავას სახლ-მუზეუმის მიერ მომზადებული ექსპონატები, რომლებიც აფხაზეთის მკვიდრი სახელოვანი წინაპრების ცხოვრებასა და მოღვაწეობას ასახავდა. „ზღვიდან მოტანილ ამბებში“ წარმოდგენილი იყო ინტერვიუები აფხაზეთის ომის მეომრებთან, აფხაზეთში ჩარჩენილ ნათესავებთან, მეზობლებთან. აფხაზეთის N2 და N3 საჯარო სკოლების მოსწავლეებმა და აფხაზეთიდან დევნილმა მოზარდებმა წარმოადგინეს ლიტე-

რატურულ-მუსიკალური კომპოზიცია “ვიზრდებით აფხაზეთისთვის”. საღამოზე მოწვეულნი იყვნენ აფხაზეთის ომის მონაწილენი, სოხუმის დაცვის ბიჭები, დაღუპული მეომრების ოჯახის წევრები.

საომარი მოქმედებების ეპიზოდები გაიხსენეს კამანის ბრძოლების გმირმა ემზარ კახიანმა, სამშობლოსათვის თავდადებამ, გმირობაზე ისაუბრა ვეტერანთა დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ, 23-ე ბრიგადის მეთაურის მოადგილემ დათო ცირამუამ, გუმისთის ბრძოლების თანამებრძოლების გმირობაზე მოზარდებს მოუთხრო თეიმურაზ ნაყოფიამ.

საღამოზე ნაჩვენები იყო ვიდეო-კოლაჟი: „აფხაზეთი-მოგონება, ტკივილი“.

როზა მირცხულავა,
კინოცენტრ “აფხაზეთის”
მთავარი სპეციალისტი.



ბული, რობელის ქალაქი დარა

ნანა ჭანტარია

საქართველოს შინაგანი ჯარების სოხუმის ცალკეული ბატალიონის შტაბის უფროსის ყოფილი მოადგილე, უფროსი ლეიტენანტი, ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენის კავალერი გურამ კვარაცხელია ერთ-ერთი იმ მეომართაგანია, სოხუმის უკანასკნელი მტურმის მონაწილეებთან ერთად ბოლომდე რომ იცავდა მთავრობის სახლს. ის ჟიული შარტავასა და მის თანამებრძოლებთან, აგრეთვე, გმირ „ავღანელებთან“ ერთად სოხუმის ალების, საქართველოს უახლესი ისტორიის ყველაზე ტრაგიკული დღის მონაწილეა.

მებრძოლთაგან უმრავლესობა (სულ 80-მდე იყვნენ) გმირის სიკვდილით აღესრულა; მხოლოდ რამდენიმე მოახერხა მტრის ალყიდან თავის დაღწევა.

მეომრისათვის წარსულში არაფერი ხდება. და ომიც მუდამ გრძელდება. მეც არ მინდა, პატარა ნიუანსითაც განვტვირთო გონება, სული. რამე ამოვშალო ჩემი ცხოვრების ამ უმძიმესი მონაკვეთიდან; რომ დაბრუნებამდე ჯვარივით ვატარო მშობლიურ ქალაქთან განშორების სიმძიმე, - ამბობს გურამ კვარაცხელია.

ჩვენი დღევანდელი პუბლიკაცია ტკივილიანი მონოლოგია იმის შესახებ, მთავრობის სახლის ალების შემდეგ რა მოხდა მთავრითა და „გამარჯვების გირლიანდებით“ განათებულ სოხუმში, როგორ და სად გადაეყარა გურამ კვარაცხელია აფხაზ თანაქალაქელს, რომელმაც სიცოცხლე შეუნარჩუნა.

სასტუმრო „აფხაზეთის“ დამწვარ, კედლებადცეულ შენობას ვაფარებთ თავს თამაზ გაბუნი, თამაზ ბენიძე და 5 „ავღანელი“. შოთა ქობულაშვილი, გიორგი ოსიტაშვილი, ზაზა მუშუქიანი, ავთო ბერიაშვილი და ზურაბ ყვინაშვილი. შენობას ბეტონის კედელი აკრავს ირგვლივ. მორჩა. გათავდა. კედელი ზღვარია, რომლის იქით ეს სანაპიროც უცხოა შენთვის და ეს ზღვაც. რა გქვია ამის შემდეგ შენ?! ხარ კიდევ ვირთხასავით სადღაც შემაღული და პატარა, თვალისოდენა ჭუჭყუტანასთან დგომის უფლებაც მეტი ვერაფერი მოიპოვე. მერე რა, რომ გზარავს საკუთარი უმწველი, უღირსობა?

სანაპირო თანდათან ივსება აფხაზებით, რუსებით, კაზაკებით, სომხებით, ათასი ჯურის გადამთილეთი. მღერიან, უსტევენ, ყვირიან, ერთი-ორმა ველოსიპედითაც კი ჩაიქროლა. თავთავიანთ ენაზე ულოცავენ ერთმანეთს ადგილობრივნიც და უცხოინიც. ჩვენ კი, საუკუნეებით დამძიმებული, აფხაზეთის უძველესი მინის მკვიდრნი „საზღვარს იქით დარჩენილებად“, მერე კი „ლოტოლიცობად“ მოვიხატოთ. უცნაურად მატივებს და ქვადმოშუქულ ხელებს ზურგს უკან ვიგრეს.

თუ მთელი დღის განმავლობაში კანტი-კუნტის სროლები ისმოდა, 10 საათისათვის ავტომატების კაკანითა და უსასრულო ხმების აღრევით, ვაი-უშველებელი ყიჟინითა და არაჯანსაღი ხორხოცით, ცაზე დაიდებულ სახეიმო გირლიანდებით, გამარჯვების სალუტებითა და ქვემეხების ზალაებით გვამცნობენ, რომ სოხუმში უკვე ქართველები აღარაა, რომ მტერი ზეიმობს, რომ, თურმე, შეიძლება საკუთარი ქალაქის პანაშვიდს დაესწრო. ზალპს ზალპი ენაცვლება, რომ მოკლან სიყვარული, ხსოვნა... და არ ვიცი, ვის ვკითხო: ვინ და რატომ გაწირა ბატონი ჟიული შარტავა? რატომ ეგონათ, რომ გულს, რომელსაც უყვარდა, მოერეოდნენ. უკანასკნელი მტურმის წინ ვინ მოაგონა მთავრობის სახლის მეომრებს, ქალაქს შეწირულ გმირებს, რომ სიცოცხლე მშვენიერი იყო და ამიტომ დაცემულ ბასტიონთან ერთად ისიც ღირსეულად უნდა დაცვათ?

ერთი საათის განმავლობაში ხმები თანდათან მიყუჩდა. საფარში დიდხანს გაჩერებას აზრი არ აქვს, გადავწყვიტეთ იქაურობის დატოვება. უსაფრთხოების მიზნით ბიჭები შენობიდან ცალ-ცალკე გამოვიდევართ. ახლომახლოც თითქმის არავინ ჩანს. მაგრამ ბედის ირონიით ცა ნათელია, ვარსკვლავებით გაბრდღვიალებული, წინა ღამეებისგან განსხვავე-



ბული.

გეზს ვიღებ ტურბაზისაკენ. და ამ დროს ხდება ის, რის ახსნასაც ვერასოდეს შევძლებ, რაც საოცრებაზე მეტი მეჩვენება. რამდენიმე ნაბიჯის გავლის შემდეგ ანაზღად ვჩერდები და გაყინული მზერით ვიყურები აქეთ-იქეთ. ირგვლივ ყველაფერი მეუცხოება. იმაზე მეტს ვერაფერს ვაცნობიერებ, რომ ვილაყ უსმართავს. ნელ-ნელა ვიცლები ტკივილისგანაც, ენერგიისგანაც, ვგრძნობ სიმსუბუქეს. ასე მგონია, სულ პანია ნიაივც თან გამიყოლებს. ყველაფერს ვივინყებ. იმ წუთში ჩემთვის არ არსებობს ომი, არ არსებობს სიკვდილი და წგრევა. არაფერს განვიცდი, არავინ მიყვარს, და ყველაზე მთავარი: ვდგავარ ამ უსასრულო სივარდიელში და ვერ ვცნობ ქალაქს, ჩემს საყვარელ ადგილებს. არც ის ვიცი, ახლა საითკენ ვავგრძელო გზა. რატომ ვდგავარ ოდესღაც ნანახი შენობის წინ (არადა, იგი თურმე ქართული თეატრის შენობაა) და რატომ არ მახსოვს, ვინ არის გურამ კვარაცხელია?

სად არის ჩემი ბავშვობა? ვის დავუთმე გუშინდელი წლები? მყავს თუ არა დედა ან მამა? სად დამეკარგა ჩემი ნანა და პატარა ლევანიკო? ვინ გამქურდა ასე უმოწყალოდ? ვინ არის ის ვილაცა?

ასე შემაცქია ზურგი ქალაქმა და ასე დავკარგეთ პირველად ერთმანეთი. ცნობიერებადაკარგულს მხარიც მეცვლება და იმის ნაცვლად რომ ტურბაზისკენ, ქალაქის გასასვლელისკენ ავიღო გეზი, სრულიად მანინალმდგომ, ბაზრის მიმართულებით მივდივარ.

ფრუნესა და ლაკობას ქუჩების გადაკვეთასთან, შემწახველი საღაროს პირდაპირ პატარა ტანის გამხდარი ბიჭი მიღერებს ავტომატს. ეს იყო აუცილებელი ბიჭი, რომელიც მაფხიზლებს, ცნობიერებას მიბრუნებს. მე აქ ჩემს ბიჭებს ვეძებ - ბესო კობახიას, თამაზ ქეძბას, ჯემალ სმირს, რეზო ქანთარიას, - ვეუბნები ცოტა ხნის წინათ დაუფლებული სიმშვიდით და ყოფილი აფხაზი თანამშრომლების გვარების დასახელებას ვაგრძელებ.

თვალეში მიყურებს, მერე ერთსაც ამათვალ-ჩამათვალეირებს და თავის გზას აგრძელებს.

სასტიკად მიხურს თავი, სხეული, კიდურები. საგნებს თანდათან სახე და სახელები უბრუნდება, ყველაფერს ვხედავ და ყველაფერი მახსოვს. საზარელია ფარდახდილი სამყარო. მით უფრო, მაშინ, როცა ბნელ ქალაქს შეფარებული მსტოვარივით აკრული ხარ „საკუთარი ნაჭუქს“, შენი ერთადერთი იმედიც და თავშესაფარიც როცა ეგ არის. და თვალწინ მიდგას მთელი ომი, მშობლები, ძმა, ჩემი ნანა და ჩემი ლევანი, თანამებრძოლები, მთავრობის სახლი, ალყიდან თავის დაღწევა. და მხოლოდ ერთს ვნატრობ: დასრულდეს ეს კომპარო, თუნდაც, ტყვეობით...

მშვიდობის პროსპექტიდან ისევ ლენინის ქუჩაზე ვუხვევ. ვადვივარ ლაკობაზე. ქართული თეატრის დიდ, შავ ჭიშკართან მალაღი, ათლეტურად აღზავი რუსი დგას. სამხედრო ფორმით ვცნობ. ის სადესანტო-მოიერიმე ბრიგადის წევ-

რია, იმ რეგულარული არმიის, რამდენიმე საათის წინ ყველაზე აქტიურად რომ მონაწილედა სოხუმის ალების ბატალიებში.

ფაქტები შემზარავია: ომის დაწყებისთანავე რუსეთი აფხაზეთს 14 მილიარდ მანეთს აძლევს; სოხუმზე ერთი სამხედრო გადაფრენისთვის იმპერიის გენერალიტეტი 50 000 მანეთს იხდის; სოხუმზე მტურმს ახორციელებს გუდაუთაში განლაგებული 345-ე საპარაშუტო-სადესანტო ბატალიონი, რომელსაც სოხუმის დაცემის შემდეგ „სამშვიდობო მისიას“ აკისრებენ. სოხუმის დაცემის დღეებში რუსს თითო ოპერაციაში მონაწილეობისათვის 2 000 დოლარს უხდიან. ერთ-ერთი რუსი სამხედრო კი ახლა ჩემს წინაშეა.

- Слушай, кто ты такой? - მესმის მისი მკაცრი ხმა.

- ნაღმა დღეს ბებია მომიკლა და ახლა სუფთა პაერზე გამოვედი, - ვცრუობ და ჯიბეში ხელეზრანობილი ვცდილობ, შევინარჩუნო ყურით მოთრეული სიმშვიდე. მერე ქურთუკიდან გამომაქვს „ასტრომონტი“ და პირში ვისხურებ (ალერგიული ასთმის გამო მთელი წლის განმავლობაში ჯიბით ვატარებდი ამ პრეპარატს). ამჯერადაც მიმართლებს. რუსი იჯერებს ნათქვამს და ჩემთან ლაპარაკის სურვილსაც კარგავს.

პუშკინის ქუჩამდე არავინ მხედება. აფხაზურ, მე-10 სკოლასთან ხალხი ირევია. „პოლიტსახლთანაც“ ჩოჩქოლია. იქედან გაღწევის მანსი ნაკლები მრჩება და ისევ წრეზე მივდივარ - მშვიდობის პროსპექტით ლენინის ქუჩისკენ.

ერთმანეთს მასწავლებელთა სახლის კუთხესთან ვეფეთებთ. წვერებიანია, მალაღი, ავტომატმომარჯვებული; მკერდეზე 4 ბიჭის ფოტო აქვს მიბნეული.

- ვინ ხარ შენ? - მეკითხება რუსულად და იარაღს მიღერებს მკერდთან.

- მე ბიჭებს, ჩემს ბიჭებს ვეძებ, - ვინყებ ნაცნობ ტექსტს. ის ბრაზობს:

- მე არ გეკითხები, ვის ეძებ! ვინ ხარ შენ, ბერძენი, ქართველი, სომეხი თუ ვინ? პატარა პაუზის შემდეგ ანგარიში-უცემივად ვპასუხობ: ქართველი.

სახე ეცვლება და ავტომატს უფრო მალაღ სწევს. ამჯერად ჩემი გვარი აინტერესებს.

- კვარაცხელია, - ვპასუხობ ისევ და თვალს თვალში ვუყრი.

და უცებ მეჩვენება, რომ მისი ბრაზიანი ნაოჭები იმდენად საშში აღარაა. თურმე, სიმპათიურიც ყოფილა. ის ნელ-ნელა ავტომატსაც ძირს უშვებს. გაოგნებული შევყურებ და ვერაფრით ვხსნი მის საცქილს. უცებ მესმის მისი ხმა, გამზარული კაცანკალებული:

- ვის არჰყვარებდა ეს დამპალი მინა! რატომ ხარ დამუნჯებული და არაფერს მპასუხობ. ახლა მაინც მითხარი, ვის სჭირდებოდა ამდენი სიკვდილი? თუ გვიყვარდა ჩვენი ქალაქი, რატომ დავანგრეთ იგი? ან ახლა ვის სჭირდება ამდენი ახალგაზრდის სიკვდილით დამძიმებული აფხაზეთის მინა? იცი, ახლა რამდენი დავრჩით? ერთი ვაგონი ხალხი... გითხარით, ჰომ? ამ სურათებს რომ უყურებ, ამ ლამაზ ბიჭებს, ჩემი ბიძაშვილები არიან. 15-16 მარტს დამელუპაოთხივე. მხოლოდ მაშინ ავიღე იარაღი თქვენს წინააღმდეგ.

ის თითქმის უკვე მიყვირის:

- ყველაფერი გითხარი და იმასაც გეტყვი, რომ ვიდრე გუდაუთაში წავიდოდი, ჩემი ქართველი მეგობრები ყოველ საღამოს მაკითხავდნენ და ლუკმას მიყოფდნენ. იმაშიც გამოგიტყდები, ძალიან რომ მიყვარდა ისინი.

უფრო შეურაცხადის სახე აქვს. მაინც ვერაფერს ვიგებ. მერე თანდათან მშვიდდება:

- როგორმე დაიმაღე. სალიკვიდაციო ჯგუფები დაძრწიან და თუ ნაგასწრეს, მათ თავს ვერ დააღწევ. გადი მთავარ მოედანზე და ნახე, რამდენი ყელგამოლადრული გდია იქ...

და ბოლოს მეუბნება: მე დედა მყავს კვარაცხელია, შენ უბრალოდ გაგიმართლა.

როცა გეჩვენება რომ არავის არასდროს ჰყვარებიხარ, სამყაროს დასასრულთან მდგარი იმედითი იყო ჩემთვის დედით კვარაცხელია - შამილ ბარგანჯია

მთავარი საიდუმლო მაინც არ გავთქვი: მებრძოლი რომ ვიყავი და მთავრობის სახლს რომ ვიცავდი (სასტუმრო „აფხაზეთის“ საფარიდან გამოსულმა ერთ-ერთ იტალურ ეზოში დავტოვე სამხედრო ფორმა, სრულიად უცნობებმა მაგრამ სოხუმელებმა - აფხაზმა კოლიამ და რუსმა ოლგამა „გამომანყევს“ თავიანთი ძველმანებით).

- ნამოდი, უნივერსიტეტამდე მიგაცილება, მეჩქარება, მელოდებიან. თუ ვინმე გადაგყვარა, არავის უთხრა, ქართველი რომ ხარ. თუ ჩემსავით ჩაგაცივდნენ,

ბერძენი ვარ-თქო, მოიტყუე. დაი-მახსოვრე, რომ შენ თევზაჭერ სეინერზე მუშაობდი მზარეულად. გვარად ხარ პაპანდოპოლი. გქვია სავა. და თუ მაინც აგიყვანეს, შამილ ბარგანჯიას ახლობლად გაასაღე თავი. აუცილებლად მომძებნიან...

გზას ერთად ვაგრძელებთ. მშვიდობის გამზირისა და წერეთლის ქუჩის გადაკვეთასთან, „ოპტიკისგან“ შორიან-ლო, შამილს ვილაყვები აჩერებენ, ფორმიანები. რა თქმა უნდა, თადარიგს ვიჭერ და მათგან ოდნავ მოშორებით ვდგები. თურმე ის ღამე კიდევ მორიგი განსაცდელისათვის მამზადებდა. ზურგიდან ორლულაიანი ავტომატის შეხებას ვგრძნობ. და ვიდრე გონს მოვდივარ, უხეში, მოუზომავი მუჯლუგუნი ადგილზევე მბარბაცებს. ის მეორე ახლა მარჯვნიდან რომ მიდგას და საშინლად უტიფარი მზერა აქვს, ჩექმის ქუსლს ისეთი გამეტებული ძალით მაჭერს ფეხზე, რომ ტკივილისაგან სახე მეღრივება. ის მესამე კი, ახლა კონდახს რომ მიგრტყამს კისერში, თავი, სომხურად იგინება. ცხვირიდან სისხლი მდის, ყურები მინივის, ვგრძნობ, სახე და ქუთუთოები მიშუბდება. დაუზოგავად მცემს ოთხივე.

- დროს ნუ ვწელავთ, მისი სიკვდილი

მეტ სიამოვნებას განგვაცდევინებს, ბურქებში მეტი რომანტიკაა და იქ მოვულოთ ბოლო.

შამილი ზურგით დგას და გაცხარებული საუბრობს. ამკარაა, მის უკან ატეხილ ჩოჩქოლს იმ კომპარული ღამის ჩვეულ აურზაურად მიიჩნევს. ბოლოს მაინც ვაგონებ ხმას. შამილ ბარგანჯია ამჯერადაც უარს ამბობს შურისძიებაზე და მხოლოდ იმიტომ, რომ დედა ჰყავს კვარაცხელია.

ერთმანეთს წითელ ხიდთან ვშორდებით. ხიდს გადალბა.

დამშვიდობება?

აგერ, ამდენი წელი მიილია, მაგრამ დაუსრულებლად ისევ ერთმანეთში ირევა უკვე რამდენჯერის განცდილი და ნაფიქრი. ასე მგონია, ომის ეპიზოდები, ჯვარივით რომ დავატარებ, მეხსიერების განსაკუთრებულ ფენომენად მექცა. უმნიშვნელო ეპიზოდსაც ვებლაუჭები, რომ არაფერი დაიკარგოს. და მაშინ ერთმანეთის მიყოლებით კვლავ მწყობრში დგებიან ჩვენგან ადრე წასული და ჩვენზე უკეთესი ბიჭები. და, მინდა თუ არ მინდა, ისევ ისე ბოხოქრობს სამყარო, სკდება ჭურვები, ისმის ავტომატებისა და ტყვიამფრქვევების კაკანი, ბომბების გრუხუნი, ქალებისა და ბავშვების შემზარავი ხმები.

...ვტოვებ სოხუმს და ისეთი შეგრძნება მეუფლება, თითქოს სხეულიდან სულის ნაწილი გადის. ჩემს დაუკითხავად, ვილაყის სურვილით მტოვებს იგი. ასე მგონია, სიცოცხლის ნაწილს ვრუქნი ჩემს ქალაქს. არადა, დღემდე მტკივა მოგლეჯილი და უჩემოდ დარჩენილი ის ნაწილი. ასე ვტოვებ დაჭრილ, მკვნესარე ქალაქს. სადღაც ქალები კივიან, ვილაყას აწიოკებენ და შენ, რომელსაც მეომარი გქვია და ვის იმედზეც იყო ქალაქი, არაფრის შეცვლა არ შეგიძლია. ვერავის ვერაფრით და ვერაფერში ვეხიდები. ისეთი მშვიდი, აურქარეველი ნაბიჯით მივდივარ, თითქოს მთვარიან, სექტემბრის არაჩვეულებრივად თბილ საღამოს მივსერილობდე საყვარელ ქუჩებში.

ალბათ ვიცი, სოხუმს რომ ვემშვიდობი და იმიტომ. ფეხები, როგორც არასდროს, ისე მაქვს დამძიმებული. არადა, ვილაყა ჩამძახის გამეტებით, სად მიდიხარ, შეჩერდი.

ჩემს ცხოვრებაში პირველად ვხედავდი მოლაპარაკე ქალაქს. მთხოვდა, მემუდარებოდა. საშინელება ის იყო, რომ არ შემეძლო ამ თხოვნის მიღება. არ შემეძლო იმ წუთში მისთვის სიკვდილი. ჯერ ის მოგლეჯილი ნაწილი უნდა დავიბრუნო, უნდა დავიბრუნო გულიც, რომელიც ქალაქში დამრჩა...

P.S. ღამის 3 საათზე ჩააღწევს გურამ კვარაცხელია ავუშერის ბატალიონში. ლაპარაკის თავი არ აქვს. სკამზე ვადასვენებ და ჩათვლემს. მერე ხმაური აღვიძებს და თვლებს არ უჯერებს: მის წინ მისი ბიჭები, მისი თანამებრძოლები დგანან, ისინი, ვისთან ერთადაც თავი შეფარა სასტუმრო „აფხაზეთის“ დანგრეულ შენობას, მერე კი იმ კომმარ ღამეს ერთმანეთის გზა-კვალი აებნათ.

- ადამიანებს ცხოვრებაში სულ რამდენჯერმე რომ ჰქონდეთ ასეთი ბედნიერი წამები, ალბათ, უკვდავნი იქნებოდნენ, - იტყვის მაშინ.

"ჩქიმი ჭიმა, ცოტა გვიჭირს, მაგრამ მაინც დავბრუნდებით"

აია ჟონია

25 სექტემბერს მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში სოხუმის დაცემის ოცი წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო - "გახ-სოვდეს აფხაზეთი" გაიმართა. საღამო აფხა-ზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მხარდაჭერით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროსა და საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ორგანიზებით შედგა. მის ორგანიზებაში შეტანილი წვლილისთვის განსაკუთრებული მადლობა დაიმსახურეს კინოცენტრ "აფხაზეთის" თანამშრომლებმა: ლეილა ბაღბაიამ, ლეილა თორიამ და მედეა ზუხბაიამ.

აფხაზეთისადმი მიძღვნილი საღამოების გამართვის ტრადიციას მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში 21 წლის წინათ ჩაეყარა საფუძველი, როდესაც 1992 წელს სასახლის სცენიდან აფხაზეთის ომში ექვსი მეომარი გააცილეს. მათ შორის ერთ-ერთი, გურამ მახნიაშვილი, უკან არ დაბრუნებულა. მას შემდეგ გაცილების საღამო ხსოვნის საღამოებად იქცა.

"გახსოვდეს აფხაზეთი" - 2013 მასშტაბურობითაც და შინაარსითაც გამოირჩეოდა. მასში მონაწილეობდნენ აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლები, აფხაზეთის ომის ვეტერანები, მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის აღსაზრდელები. საღამოს დაესწრო და მემორებსა და დევნილებს სიტყვით მიმართა საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ: "უპირველესად, მადლობა მინდა გადაუხადო აფხაზეთში ნაომარ ბიჭებს. რთულია რამეს თქმა. ნამდვილად აკლიათ ყურადღება ჩვენს ვეტერანებს, ადამიანებს, რომელთაც საქართველო დღემდე მოიტანეს. პირველ წელს ომში დაღუპულთა ოჯახებს მივაქციეთ ყურადღება. მომავალი წელი ვეტერანების წელი იქნება. თავდაცვის სამინისტროს კარები ყოველთვის ღია თქვენთვის."

საღამოზე ნაჩვენები იყო კინოფილმები აფხაზეთზე. სასახლის სტუდია "პიონერ-ფილმის" ხელმძღვანელის ბატონ გრიგოლ ჩიგოგიძის, როგორც მოხალისე ჟურნალისტის მიერ 1992 წელს ოჩამჩირეში გადაღებული ფილმი და ასევე ფრაგმენტები "პიონერ-ფილმის" ალბრდილის, რეჟისორ, ლევან ახოზაძის ფილმიდან "როგორ დაეცა სოხუმი", სლაიდ-შოუ "ჟიული შარტავა" და სხვ. გრიგოლ ჩიგოგიძემ 20 წლის შემდეგ პირველად გამოიტანა მზის სინათლეზე ეს სამწუთიანი რეპორტაჟი, რომელიც რამდენიმე ხნის წინათ სოციალურ ქსელშიც გამოჩნდა. ის ორი დღის განმავლობაში 20 ათასზე მეტმა ადამი-

ანმა ნახა და დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. რეპორტაჟის შინაარსი ასეთია: აფხაზეთის ომში წასული ჯარისკაცები თავიანთ სახელებს, გვარებსა და წარმომავლობას აცხადებენ ბატონი გრიგოლის მიკროფონში, რომლითაც მან 25 სექტემბრის საღამოც წაიყვანა. ამ კადრებში ბევრმა საკუთარი თავი, ბევრმა კი დაღუპული თანამებრძოლი ამოიცნო.

გრიგოლ ჩიგოგიძე: "ომის პერიოდში სოხუმში ხშირად ჩავდიოდით. ერთ-ერთი ვიზიტის დროს მეომრებს ვთხოვე თავიანთი სახელები და გვარები ეთქვათ კამერის წინ. ეს რეპორტაჟი ახლახან გავავრცელე სოციალური ქსელის საშუალებით. მას ძალიან დიდი გამოხმაურება მოჰყვა."

კადრებზე აღბეჭდილი მეომრები, რომლებიც ომს გადაურჩნენ, ფილმის ჩვენების შემდეგ სცენაზე შეიყარნენ. ბევრმა მათგანმა მას შემდეგ პირველად ამ დღეს ნახა ერთმანეთი. ამ სცენიდან გააჟღერეს თანამებრძოლებმა გრიგოლ ჩიგოგიძის რეპორტაჟში აღბეჭდილი ანდრო ლარიბოვის გმირობის ამბავიც. სწორედ მან გაუკვალა გზა სხვებს და თავისი სიცოცხლის ფასად გადაარჩინა ისინი. გმიროს ოჯახს მთელი დარბაზი ფეხზე წამოუდგა.

აქვე იყვნენ "ავღანელთა კავშირის" წევრებიც. მათ გაიხსენეს შეკრება, რომელზეც ომში წასვლის საკითხი წყდებოდა. ავღანელთა კავშირის თავმჯდომარეს ნუგზარ კახნიაურს ჯერ კიდევ აქვს იმედი, რომ "ცხოვრება ისევ გადაინაცვლებს აფხაზეთში".

21 წლის წინათ სწორედ მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის სცენაზე შედგა პრემიერა ცნობილი სიმღერისა "საბრძოლო", რომელსაც დედა-შვილი ინგა ბერაძე და გოგიტა გეგელაშვილი ასრულებენ. სწორედ ამ სიმღერით გააცილეს მეომრები 1992 წელს აფხაზეთში. ეს სიმღერა შემდგომში აფხაზეთის ომის ერთგვარ სიმბოლოდაც კი იქცა. სიმღერის პათოსი დღესაც აქტუალურია. ყველამ ვიცით, რომ "ისევ ისე ბრძოლა გველის", ოღონდ, ყველანი ვაცნობიერებთ იმასაც, რომ ამჯერად სხვაგვარი ბრძოლაა საჭირო.

ეროვნული სასახლის ბავშვთა ქორეოგრაფიულმა ანსამბლ "ბასიანმა" (ხელმძღვანელი ირაკლი ცერცვაძე) აფხაზური ცეკვა წარმოადგინა. აფხაზეთიდან დევნილმა ქრისტიან ფაფიამ და ტატო გოდერძიშვილმა კომპოზიტორ ნოდარ ნიკოლაიშვილის მიერ ნანა ცინცაძის ლექსზე დაწერილი სიმღერა "ოდა აფხაზეთზე" შეასრულეს. ამ სიმღერის პრემიერა 23 სექტემბერს, სოხუმის დაცემის დღესთან დაკავშირებით, ენგურის ხიდზე შედგა. ვენეციის მეექვსე საერთაშორისო ფესტივალ "ორფეოსის" მონაწილე ხატია ხუროძემ აფხაზეთზე სიმღერა შეასრულა.

მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის საგამოფენო სივრცეში აფხაზეთის ამჟამინდელი ხედების ამსახველი ფოტოები იყო გამო-



ფრონტის ხაზზე და დღეს



ფენილი, რომლებიც უცხოელმა მოხალისეებმა გადაიღეს.

ქეთევან ფეიქრიშვილი, მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის დირექტორი: "ვისურვებდი, მალე გვეთქვას "გამარჯობა, აფხაზეთო შენი!". აფხაზეთში ბევრჯერ ვარ ნამყოფი. ძირითადად ზაფხულში დავდიოდით. ერთხელ ისე მოხდა, რომ ზამთარში ჩავედი. მაშინ პირველად ვნახე თოვლი ზღვაზე და პალმებზე. მინდა, რომ ისევ ვნახო თოვლი ზღვაზე."

თამაზ ხუბუა, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე: "მე არ მომწონს სიტყვა დაცემა. სოხუმი არ დაცემულა, რადგან იქ ჩვენმა ბიჭებმა ბოლომდე გმირულად იბრძოლეს. მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში შეიკრიბნენ ადამიანები, რომელთაც აფხაზეთთან მხოლოდ ქართველობა კი არა, მრწამსი და ოვალეობები აკავშირებთ. იმედი მაქვს, მალე დავბრუნდებით და მალე დავასუფთავებთ დაბინძურებულ ზღვის სანაპიროს."

ჯანსუღ ჩარკვიანი, პოეტი: "დიდი ქართველები იყვნენ ჟიული შარტავა და მამია ალასანია. სიძულვილი ვერასოდეს გაიმარჯვებს სიყვარულზე. სიყვარული ღმერთია, სიძულვილი ეშმა. ჩვენი და აფხაზების ბრალი კი არ არის ეს უბედურება, არამედ იმ ოკუპანტის, რომელმაც დაშალა ჩვენი ქვეყანა. იმედი მაქვს, ჩვენ კი არ დავიბრუნებთ აფხაზებს, ისინი დავგიბრუნებენ ჩვენ."

დავით ცირამუა, ვეტერანთა დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე: - დოკუმენტური ფილმებზე ასახული კადრებით შეძრწუნებული ვარ. მშვიდობას ალტერნატივა არა აქვს. ომში შეუსაბამო ძალამ გაიმარჯვა და არა შემართებამ და სულმა, რომლითაც ვიბრძოდით. ჩვენს ბატალიონში 500 მეომარი იყო.

86 მათგანი დაიღუპა, 200-ზე მეტი დასახიჩრდა. სოხუმის დაცემის დღეს თითქმის მთელი მთავრობა: ჯუმბერ ბეთაშვილი, გურამ გაბისკირია, მამია ალასანია, ჟიული შარტავა, დაიღუპა. ალბათ, მსოფლიოში ასეთი პრეცედენტი არ არსებობს. მიუხედავად ყველაფრისა, მაინც მჯერა, რომ დავბრუნდებით.

დიმიტრი ჯაიანი, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრი: "ბატალიონ "ცხუმის" წევრი ვიყავი და ღამ-ღამობით ვიცავდი ქალაქს. დიდ ბრძოლებში მონაწილეობა არ მიმიღია, მაგრამ ბევრი ქართველის გმირობის მონმე მაინც გავხდი. ერთ-ერთი იყო დიმა ჭურდულია. 27-ში, როდესაც სოხუმში უცხოტომელები შემოვიდნენ, მან ხელყუმბარა ააფეთქა. 200 ტყვია მოხვდა, მაგრამ ბევრიც გაიყოლა. ჟენია ევტუშენკომ გადაიღო ფილმი, რომელშიც მე ჯუმბერ ბეთაშვილს განვასახიერებ. ასეთი ლეგენდა არსებობდა: ჯუმბერი სოხუმში რომ იყო და სეპარატისტებმა მიზანში ამოიღეს, ერთმა მეორეს უთხრა, არ ესროლო, ძალიან სიმპათიურიო. მას მაინც ესროლეს. ყველაზე გადამწყვეტ მომენტში, როცა სიკვდილი და სიცოცხლე ერთმანეთს ებმან, თქვა, არ დავიჩოქებო და გმირულად დაიღუპა. მამია ალასანიას შეეძლო გარიდებოდა ომს და ბრძოლის ველს, მაგრამ მან ეს არ გააკეთა და თავი განირა. ყველა, ვინც იქ იბრძოდა, გმირია და ეს გმირები დღეს რომ მორიდებით ამბობენ, ყურადღება გვაკლიაო, გულსატკენია. ჩვენ ამ ადამიანებზე ყოველდღე უნდა ვლოცულობდეთ".

დიმიტრი ჯაიანმა თავისი გამოსვლა ჯანსუღ ჩარკვიანის ლექსით და მისი პათოსით დაასრულა: "ჩქიმი ჯიმა, ცოტა გვიჭირს, მაგრამ მაინც დავბრუნდებით".



ქართული საგანმანათლებლო სივრცისკენ სწრაფვით

ნონა შონია,

გალის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი

ოკუპირებულ აფხაზეთში ახალი სასწავლო წელი 2 სექტემბერს დაიწყო. სკოლის მერხს 4300-ზე მეტი მოსწავლე მიუჯდა. მათ შორის 300-მდე კურსდამამთავრებელი.

გალის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრი - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ტერიტორიული ორგანო - არა მარტო გალის რაიონს, არამედ ოკუპირებული აფხაზეთის მნიშვნელოვან ნაწილს აკავშირებს დანარჩენ საქართველოსთან და სხვებთან ერთად იბრძვის ქვეყნის გამთლიანებისთვის. იგი ხელს უწყობს ოკუპირებულ ტერიტორიაზე ქართული სულისკვეთების შენარჩუნებასა და სწრაფვას ქართული საგანმანათლებლო სივრცისკენ, რაც სახელმწიფო საგანმანათლებლო სტრატეგიის სხვადასხვა მუხლის განხორციელების ხელშეწყობაში გამოიხატება. ეს გულისხმობს ქართული ატესტატის მნიშვნელობის ზრდას, ერთიან ეროვნულ გამოცდებში კურსდამთავრებულთა მონაწილეობას, კონკურსებსა და პროექტებში, საგნობრივ ოლიმპიადებში, სპორტულ და ინტელექტუალურ შეჯიბრებებში, ოქროსა და ვერცხლის მედლების პროგრამაში, ინგლისური ენის საზაფხულო, სამშვიდობო და პატრიოტული ბანაკების მუშაობაში ჩართვას, საგნობრივ და პროფესიულ ტრენინგებში პროფესიონალიზმის ამალგების მიზნით მასწავლებელთა აქტივობის გაძლიერებასა და სხვ.

გალელი მასწავლებლები, მოსწავლეები და მათი მშობლები, მიუხედავად ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული უმძიმესი ვითარებისა, რესურსცენტრის გამოძახილს ეხმარებიან, კოლეგებსა და თანატოლებს-ტოლს არ უდებენ და კონკურენტუნარიანობით გამოირჩევიან. სხვაგვარად როგორ უნდა შეფასდეს ის, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ერთ-ერთ კონკურსში საქართველოს საჯარო სკოლებიდან გაგზავნილი 10 ათასი თბულებიდან პირველ ადგილს ოკუპირებული გალის ერთ-ერთი სკოლის მოსწავლე მოიპოვებს; კიდევ, როგორც წარჩინებულები წარჩინებულთა შორის, ინგლისური ენის ღრმად შესწავლის მიზნით იგზავნებიან ლონდონში, ბაქსეუდის სკოლაში; დასასვენებლად კი, მთელი ორი თვით - ესპანეთის სამეფოში...

გალელი აბიტურიენტები ერთიან ეროვნულ გამოცდებში მიღწეული შედეგებითაც გამოირჩევიან. მაშინ, როცა მათ უგამოცდოდ ჩარიცხვისა თუ სხვადასხვა შედეგათის განცხადების უამრავი შეთავაზებააქვთ - რუსეთის ფედერაციის სხვადასხვა და სოხუმის უმაღლესი სასწავლებლებიდან, ახალგაზრდების საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი მაინც ქართულ განათლებას ირჩევს და საქართველოს უმაღ-



პატრიარქთან შეხვედრისას



ესპანეთიდან დაბრუნების შემდეგ

ლესი სასწავლებლებისკენ ისწრაფვის. ერთიანი ეროვნული გამოცდების დაწყებიდან დღემდე 1500-ზე მეტი გალელი აბიტურიენტიდან 760 გახდა სტუდენტი და ისინი მიზანდასახულობით და წარმატებებით ხასიათდებიან.

წლეულსაც, წინა წლების მსგავსად, ეროვნული გამოცდებისათვის მათ სამზადისში მთავარი სიტყვა კვლავაც გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა და მისმა ხელმძღვანელმა მაია მიმინოშვილმა თქვა. მისი მეოხებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ დააფინანსა ოკუპირებულ გალის რაიონში გალის რესურსცენტრის მეშვეობით ჩამოყალიბებული გამოცდებისათვის მოსამზადებელი ჯგუფების მასწავლებლები,

გადაგზავნა საგამოცდო სანიმუშო ტესტების კრებულები, დამხმარე ლიტერატურა, მასწავლებლებს ჩაუტარა ტრენინგები, რომელთაგანაა დაფინანსებული აბიტურიენტების გამოცდებისათვის მზადებაში. ქალბატონი მაია არაერთგზის შეხვდა გალელ აბიტურიენტებს და გამოცდებთან დაკავშირებულ შეკითხვებზე უპასუხა.

ეროვნულმა ცენტრმა ახალგაზრდების სულიერების ამალგებაც იბრუნა, გალის რესურსცენტრის მეშვეობით გალიდან ჩამოიყვანა 30-მდე აბიტურიენტი და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს შეახვედრა. პატრიარქმა დალოცა გალელი და მათთან ერთად საქართველოს სხვა კუთხეების აბიტურიენტები და წარმატებები უსურვა

სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ბოლო წლებში აბიტურიენტები ეროვნულ გამოცდებზე ონლაინ-რეჟიმში რეგისტრირდებიან. სამწუხაროდ, გალელ ახალგაზრდებს არა აქვთ ინტერნეტთან წვდომის შესაძლებლობა. ისინი გადმოდიან ენგურს აქეთ და გალის რესურსცენტრის დახმარებით რეგისტრირდებიან. წლეულს რესურსცენტრის მიერ დარეგისტრირებული 143 აბიტურიენტიდან სტუდენტი გახდა 59. ამჯერად მიმდინარეობს მზადება, რათა ჩარიცხულები, საქართველოს მთავრობის გადამწყვეტილებით, როგორც ოკუპირებული ტერიტორიის სკოლების კურსდამთავრებულები, სოციალური სახელმწიფო გრანტის ფარგლებში დაფინანსდნენ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წარმატებების მიუხედავად, არის ხარვეზებიც, რაც ზოგიერთი აბიტურიენტის მიერ გამოცდებზე მიღებული დაბალი შედეგებით გამოიხატება. თუმცა ეს შედეგები გამოძახილია ადგილობრივი ადმინისტრაციის მკაცრი მოთხოვნისა - ყველა საგანი რუსულად ისწავლონ და ქართული სახელმძღვანელოებით არ ისარგებლონ. დარწმუნებულები ვართ, ჩვენი მასწავლებლები შედეგებს გააანალიზებენ და ეცდებიან, მომავალი წლისთვის უკეთესად მოამზადონ მოსწავლეები.

გალელი მოსწავლეებისთვის წლევედელი ზაფხულიც განსაკუთრებით დასამახსოვრებელი გამოდგა. ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები 8-10 წლის ექვსი გალელი მოზარდი აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ სხვა 6 ბავშვთან ერთად აფხაზეთის მთავრობისა და სოლიდარობისა და ინტეგრაციის საერთაშორისო ფონდი „ფინსოლი“-ს მხარდაჭერით ორი თვით ესპანეთის სამეფოში გაემგზავრა. ბავშვებს ადგილობრივმა ესპანელმა ოჯახებმა უმასპინძლეს და მათ შინაარსიან დასვენებასთან ერთად ესპანური ენის შესწავლისა და ესპანეთის კულტურის გაცნობის საშუალება მისცეს. ამ პროექტის ფარგლებში ბავშვებისადმი განსაკუთრებული მზრუნველობა და დაყურადღება გამოიჩინა ჩვენმა თანამემამულემ, ესპანეთში მცხოვრებმა გოგონამ შამუგიამ, რისთვისაც ის განსაკუთრებულ მაღლობას იმსახურებს.

გალელმა მოსწავლეებმა თავი ისახელებს ინგლისური ენის გაძლიერებულ საზაფხულო ბანაკშიც, რომლის ხელმძღვანელებმა და მასწავლებლებმა ისინი დადებითად დაახასიათეს.

გალელმა მოზარდებმა ასევე ძალიან საინტერესო, დაუნიწყარი დღეები გაატარეს და თავი გამოიჩინეს ქობულეთში, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს სამშვიდობო ბანაკში.

მოსწავლეებს, აბიტურიენტებს, პედაგოგიურ კოლექტივებს, მშობლებს ვუსურვებთ კვლავაც წარმატებებს, ხარისხიან განათლების მიღებას, მონაწილეობას ოლიმპიადებში, ეროვნულ გამოცდებში, საინტერესო კონკურსებსა და პროექტებში და რაც მთავარია - მშვიდობიანობას, ქვეყნის გამთლიანებას.

კვალიფიკაციის ასამაღლებლად

17 სექტემბერს, აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტრომ, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტთან (GIPA) თანამშრომლობით, დაიწყო აფხაზეთის ა/რ მთავრობის დაქვემდებარებაში მყოფი სტრუქტურული ერთეულებისა და სსიპ-ის თანამშრომელთა გადამზადების პროგრამა: „აიმაღლე კვალიფიკაცია“.

პროგრამის ფარგლებში 100-მდე თანამშრო-

მელი გაივლის ტრენინგ-სემინარებს შემდეგ თემებზე:

1. ფონდის მოძიება/დონორებთან ურთიერთობა, დაფინანსების მოპოვება, ლობირება.
2. ადამიანური რესურსების მართვა (კადრების შერჩევა, თვითშეფასების კრიტერიუმები, პიროვნების პროფესიული თვითგანვითარება, კონფლიქტების მართვა/ეფექტური კომუნიკაცია/ზოგადი ფსიქოლოგია და ა.შ.).

3. საბიუჯეტო ორგანიზაციის ფინანსური მართვა, დაგეგმარება და კონტროლი (მართვისა და კონტროლის საკუთარი სისტემის შემუშავება დანესტრულებში, სისტემური და ფინანსური/ეფექტიანობის აუდიტი). სახელმწიფო შესყიდვები.

4. რისკის მართვა, შეფასება (იდენტიფიცირება, ანალიზი), საპასუხო ღონისძიებების დაგეგმვა, მონიტორინგი და ა.შ.).

5. კვლევების დაგეგმვა და წარმოება, ანკეტის შედგენა, მონაცემთა ანალიზი, სტატისტიკური მონაცემების შედგენა.

ეს პროგრამა ხორციელდება 2011 წლიდან და მისი მიზანია საჯარო მოხელეთა პროფესიული ცოდნის და უნარ-ჩვევების ამაღლება და მთავრობის მუშაობის ეფექტურობის ზრდა.

ლიდერული თვისებების გამოკვეთის მიზნით

2013 წლის 3-13 სექტემბერს, აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს, სამშვიდობო და სამოქალაქო განათლების მხარდაჭერის პროგრამის „აფხაზეთის მოზარდთა ლიდერობის სკოლა“ ფარგლებში, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის მონაწილეობით განხორციელდა ტრენინგები აფხაზეთის საჯარო სკოლებისა და ადგილობრივი სკოლების აფხაზეთიდან დევნილი მოსწავლეებისათვის.

პროგრამის „აფხაზეთის მოზარდთა ლიდერობის სკოლა“ ფარგლებში აფხაზეთიდან დევნილმა 35 მოზარდმა გაიარა ტრენინგები ისეთ თემებზე, როგორიც არის: გენდერი და საზოგადოება, გუნდური მუშაობა, პროექტის შედგენა და მართვა, ფონდების მოძიება, პრეზენტაციის უნარ-ჩვევები, კონფლიქტების მართვა და პრე-

ვენცია, ლიდერობა, რომელსაც საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) წამყვანი სპეციალისტები უძღვებოდნენ.

„აფხაზეთის მოზარდთა ლიდერობის სკოლის“ დასკვნით შეხვედრას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ვახტანგ ყოლბაია დაესწრო. ტრენინგები საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA), აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ორგანიზებით ჩატარდა. პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს დევნილ მოზარდებში სამშვიდობო ხედვების, საზოგადოებრივი ინტეგრაციის, ლიდერული თვისებებისა და დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრება-განვითარებას.



აფხაზეთის თეატრის სათავეებთან

ირაკლი ბალანავა

ისტორიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

აფხაზეთში თეატრალური-სასცენო ტრადიციე-ბის ჩასახვისა და მისი განვითარების პირველ ნაბი-ჯებზე ბევრი დანერილა. თუმცა, ამ თვალსაზრისით კიდევ ბევრია საკვლევი და მოსაძიებელი. ამ წერილ-ში მე-20 საუკუნის დასაწყისის ქართულ პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებულ, ჩემს მიერ მოძიებულ წე-რილებსა თუ ცნობებს შემოგთავაზებთ.

ცნობილია, რომ მე-19 საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისისათვის სოხუმში არსებობს ქართველ სცე-ნის მოყვართა დასი, რომელთა სპექტაკლები 1885 წლიდანიმართები. ამ სპექტაკლების გამართვის ორ-განიზატორები და მონაწილენი იყვნენ მ. დადიანი-ანნაბაძე, შ. დადიანი, ძ. ლოლუა და სხვები.

მეტად საინტერესო და შთამბეჭდავია სოხუმის სცენის მოყვარეთა დასის მოღვაწეობა, რომელიც ხშირად მართავდა წარმოდგენებს, რომელთაგან უმ-რავლესობა საქელმოქმედო დანიშნულების იყო.იმ-დროინდელი პრესის ფურცლებზე ვკითხულობთ: „1900 წლის 18 თებერვალს სოხუმში კენიან ალათი შერვაშიძის მეთაურობით აქაურმა სცენისმოყვარე-ებმა გამართეს წარმოდგენა თბილისის „მომავალი ქალთა სასწავლებლის სასარგებლოდ. წარმოადგი-ნეს კომედია ბაიყუში“ და ვოდეილები „მონადირე“ და „დატრიალდა ჯვარა“, წარმოდგენაში მონაწილეო-ბას იღებდნენ ქ-ნნი ანასტ. კინზარიშვილისა და ბ-ნე-ბი ანდრ. ჯავარიძე, იას. ხაზუტაშვილი, თ. სახოკია და მ. ხოხიაშვილი. იმისად მიუხედავად, რომ სცენა საშინელი პატარა და უხერხული იყო და მოთამაშეთ არა ჰყავდათ არც რეჟისორი და არც სცენარიუსი, წარმოდგენამ ჩინებულად ჩაიარა. განსაკუთრებით კარგად შეასრულეს თავიანთი როლები „ბაიყუშში“ თალიკოსი - მაკრინე თურქიამ და ელისაბედის - ანასტ. კინზარიშვილისამ...“ ამ წარმოდგენიდან შე-მოსული თანხა გაიგზავნა თბილისში, რისთვისაც „თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა შეუძლე-ბელი მოსწავლეთა დასახმარებელი საზოგადოების“ დედათა განყოფილების თავმჯდომარე მარიამ გახ-ტანგის ასული ჯამბაკურიან-ორბელიანი კნ. ალათია შერვაშიძეს მადლობას უხდის“.

გვგაქვს ინფორმაცია, რომ კიდევ ერთი საქველ-მოქმედო საღამო გამართეს სოხუმელმა სცენისმოყ-ვარეებმა. ალათი შერვაშიძის მეთაურობით „ქართ-ველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი სა-ზოგადოების“ სასარგებლოდ: წარმოდგენილი იქნა „კომედიები - „ძუნწი“ გ. ერისთავისა და „ვაის გავეყა-რე, ვუის შევეყარე“ ვლ. გუნიასი.“ მონაწილეობას იღებდნენ ქ-ნნი მაკრ. თურქია, მამო ქავთარაძე და მამო თურქია; ბ-ნნი ა. გაბუნია, ვ. ნასიძე, ი. ხაზუტაშ-ვილი და მ. ხოხიაშვილი. მიუხედავად იმისა, რომ სცე-ნის გვიან მოწყობის გამო არც ერთი ხეირიანი რეპე-ტიცია არა ჰქონიათ მოყვარულთ და გარდა იმისა, რომ არა ჰყოლიათ არც რეჟისორი და არც სცენარი-უსი, წარმოდგენამ ჩინებულად ჩაიარა. განსაკუთრე-ბით მხიარულად ჩაატარეს კომედია „ძუნწი“, რომ-ლის წარმოდგენის დროსაც მაყურებელთ შორის სი-ცილი არ მეწყევტილა“.

როგორც ვხედავთ, სოხუმის სცენის მოყვარეთა მონდომება საზოგადოებისაგან შეუფასებელი არ რჩება, და მიუხედავად იმისა, რომ მათ ნორმალური სცენა არ გააჩნდათ, მოსახლეობაში საკმაო ინტე-რესი იწვევდნენ.

1900 წელს საქართველოში აღინიშნა ქართული თეატრის ორმოცდაათი წლისთავი, ამ საიუბლეო თარიღს თავიანთი მილოცვებით შეუერთდა აფხაზე-თის მოსახლეობა, არაერთი მოლოცვის წერილი გა-მოიგზავნა თბილისში, მაგალითად: - „დაბა ოჩამჩი-რის ყველა ქართველნი ერთობლივ ვულოცავთ ქარ-თულ დრამატულ საზოგადოებას ქართულის თეატ-რის ორმოც და ათი წლის არსებობას და სულითა და გულით ვუსურვებთ ჩვენის სცენის აყვავებას“.

როგორც ვხედავთ, საქველმოქმედო წარმოდგე-ნები აფხაზეთისათვის ჩვეული მოვლენა იყო, 1901 წლის 6 მარტს სოხუმის სცენისმოყვარეული საქალა-ქო კლუბის დარბაზში კენიან ტრერუია შარვაშიძის მეთაურობით კვლავ მართავენ საქველმოქმედო სა-ღამოს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრ-ცელებელი საზოგადოების“ სასარგებლოდ. „წარმო-ადგინეს „და-ძმა“, დრამა ვლ. გუნიასი და „უბედური დღე“, ვოდეილი-ბალანჩიგაძისა...“

სოხუმში არა მარტო ადგილობრივი დასის წარ-მოდგენები იმართებოდა, არამედ აქ გასტროლები-თაც ჩამოდიოდნენ, კერძოდ, 1902 წლის გაზაფხუ-ლის მიწურულს აქ ჩამოვიდათბილისიდან „მოგზაუ-რი ქართული-დრამატული საზოგადოების დასი“ ვალერიან გუნიას მეთაურობით, რომელსაც სოხუ-მის საზოგადოება აღტაცებით შეხვდა, „გამართულ იქნა სამი წარმოდგენა. არტისტებს მიათრევს ძვირ-ფასი საჩუქრები. აფხაზეთისა და სამეგრელოს თა-ვად-აზნაურებამ, ინტელიგენციამ და გაჭირებმა, ასე 300 კაცმა, გ. გუნიას მეთაურობით შემდგარ არტის-ტთა დასს გაუმართა მშვენიერი ვახშამი, რომლის დროსაც წარმოითქვა მრავალი სადღეგრძელო.

პირველი სადღეგრძელო იყო მისი, ვინც პირვე-ლად შეადგინა ქართულ არტისტთა დასი და დრამა-ტიული საზოგადოებისა, რომელიც იცავს ინტერე-სებს სამშობლო თეატრისას...“

საინტერესოა გაზეთ „კვალოში“ გამოქვეყნებული წერილი, რომელშიც მოცემულია სოხუმის თეატრის ინტერირერისა და ექსტერიერის, ასევე საზოგადოე-ბის გარკვეული ფენის თეატრისადმი დამოკიდებუ-

ლების შესახებ ცნობები და გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის იმ პირობებზე, რომელშიც უნევდათ სოხუ-მის სცენისმოყვარეებს შემოქმედებითი საქმიანობა. აი, ეს ნაწყევტი ამ წერილიდან: „ვინც სოხუმში ყოფი-ლა და აქაურ თეატრში წარმოდგენას დასწრებია, უთუოდ პირველად გაკვირდებოდა თეატრის გარე-განი და შინაგანი მორთულობით. ეს ასეც უნდა ყო-ფილიყო, რადგან თეატრი აქ არ არის, არის მხოლოდ კლუბის ერთი ვიწრო დარბაზი, რომელიც ძლივს იტევს 100 კაცს. ზალაში 80-მდე სკამია, ოთხი ლამპა და ფარდა, აი მთელი მორთულობა აქაური თეატრი-სა. თუმცალა ბევრს არ მოეწონა ასეთი თეატრი, მაგ-რამ დღეს არ ხერხდება უკეთესი აგება.მიზეზი ბევ-რია, უმთავრესი კი ჩვენი გაუნათლებლობა, უკულ-ტურობაა.

მაღალი წრის საზოგადოება არ კადრულობს ამ თეატრში სიარულს, ნოქრებს არც ქონებრივი მხარე აძლევს ნებას და არც, უნდა გამოვტყდე, გონებრივი საზრდო (მე ვამბობ უმრავლესობაზე).ან და რა მოთხოვნილება ექნებათ, როცა 16-18 საათის შრომა მათთვის სავალდებულოა. ექსპლოატაცია კანონიე-რია და ღვთისაგან დანესებული სოხუმში. როცა თე-ატრის გამგე თვალ-ცრემლიანი თხოვს საზოგადოე-ბას, გვიშველეთ, შემოდით, აიღეთ ბილეთები, თორემ მარტო კლუბის ხარჯსაც ვერ ვიხდითო, მაშინ ამავე კლუბში ჩვენი „ინტელიგენტები“ არჩეინათ თავს იქ-ცევენ და თეატრის შესახებ ფიქრი აინუშნადაც არ მოსდით...“

ამავე პერიოდში აფხაზეთის დაბებშიც არსებობ-და მცდელობები ჩამოეყალიბებინათ ადგილობრივი სცენის მოყვარეთა წრე, რომელთაგან აღსანიშნავია



საზოგადო მოღვაწისა და პედაგოგის ივანე გეგიას ღვანლი სამურზაყანოში. იგი ქართველი მწერლები-სა და საზოგადო მოღვაწეების ზეგავლენით 1890 წელს სამურზაყანოში აარსებს სცენის მოყვარულთა წრეს, რომელმაც შემდეგ საკმაოდ დიდი როლი შეას-რულა ეროვნული კულტურის ხალხში დანერგვისა და ეროვნული გრძნობის გაღვივების საქმეში. ივანე გეგიამ დაბა ოქუშმის მონინავე ახალგაზრდობას მო-უყარა თავი, მათ შორის ჩააბა თავისი და - თეკლე, სა-კუთარი სახსრებით შეიძინა დასისათვის საჭირო მა-სალა (საქონელი კოსტიუმებისთვის, დეკორაციი-სათვის) და შეუდგა მეცადინეობას. მათეს სპექტაკ-ლებზე ჯერ ოქუშმში, ხოლო შემდეგ, 1891 წელს ოჩამჩი-რეშიც წარმოადგინეს.

მიუხედავად სოხუმელი საზოგადოების გარკვე-ული ფენის გულგრილი დამოკიდებულებისა თეატ-რის მიმართ, სოხუმში ადგილობრივი კლუბის დარ-ბაზში არა მარტო წარმოდგენები, არამედ კონცერ-ტებიც იმართება. გაიმართა მწერლის კოროლენკოს საიუბილეო „სალიტერატურო და სამუსიკო საღა-მო“.

ქართული წარმოდგენები პერიოდულად საქ-ველმოქმედო მიზნით აფხაზეთის დაბებში შემდგომ-შიც იმართებოდა ხოლმე, 1904 წლის „6 იანვარს გუ-დაუთაში, სასტუმრო „იმპერიალში“ გაიმართა საქ-ველმოქმედო ქართული სპექტაკლი. წარმოადგინეს: „ჩათრევას ჩაყლა სჯობია“ - ვ. გუნიასი და „არც აქეთ და არც იქით“ მისივე. წარმოდგენამ კარგად ჩა-იარა, ხალხიც საკმარისად დაესწრო. მონაწილეობას იღებდნენ: ელენე ცინცაძე, ოლგა ბუაძე, ალექსანდ-რე ცინცაძე, ალექსანდრე ბუაძე, მოსე კვიტიაშვილი, ძმები გიორგი და კალისტრატე ზენაიძეილები და სევდი იმედაძე.რეჟისორობდა ივანე შარაშიძე, რო-მელმაც ბოლოს გიტარა დაუკრა და სასიამოვნოდ დაამღერა. შემოსული ფული გადასცა გუდაუთის სამკურნელოს და ზოგიც ლაწხუბის სამიწებურის სკოლას გაეგზავნა ღარიბ მოსწავლეთა სასარგებ-ლოდ.“

რუსეთის დიდმჰყრობელობის ჩვეული პოლიტი-კა ტარდებოდა არა მხოლოდ განათლების სისტემის, არამედ სასცენო საქმიანობის მიმართაც. გაზეთი „ივერია“ გულის ტკივილით აღნიშნავს სოხუმში ქარ-თული თეატრის და შევიწროებისა და გარუსების მცდელობების შესახებ: „აქაური საზოგადოება კარ-გად არის დარწმუნებული, რომ თეატრს შეუძლიან „აშოროს ისინი იმ გადაგვარების გზას, რომელსაც

ადგანან ახლა ერთის მხრივ იმ ვითარების გამო, რო-მელშიაც ისინი იმყოფებიან, და მეორეს მხრით,იმ მა-ხინჯ „მამამა-პაპაშების“ წყალობით, რომელთაც მრავალი ქართული ოჯახიდან განდევნეს ქართული ენა და თავიანთი შვილები აალაპარაკეს ისეთს დამტ-ვრეულს ენაზედ, რომლის გამოსწორებასაც ათას-ჯერ უფრო დიდი შრომა დასჭირდება, ვიდრე ამ ენის სულ თავიდან დანყებას და რიგიანად შესწავლას, ამ-ნაირად, თუ ახლა ჰგონიათ, რომ მათი შვილები ადვი-ლად ისწავლიან ყველაფერს, მომავალი დაანახებს, რა დიდ შეცდომას ჩადიან...“

...ცუდს მდგომარეობაში იყო აქ სომხურის სცე-ნის საქმეც, მაგრამ დღეს ისინი წელიწადში ორს-სამს წარმოდგენას მართავენ და ჩვენ კი ერთიც გვიჭირს, თუმცა სომხები რალაც ასი-ორასი კაცი თუ მოიპო-ვება სოხუმში. “

ქართული-რუსული წარმოდგენებიც არ იყო უცხო აფხაზეთის მოსახლეობისათვის, თუმცა, რო-გორც ირკვევა, რუსული და სომხური საღამოების ჩატარებისას მათ ინიციატორებს ბიუროკრატიული წინააღმდეგობები თითქმის არ აფერხებთ და უფრო ადვილად მოგვარებადია, ვიდრე ქართულისა. ეს რა თქმა უნდა, ამკარად გვიჩვენებს რუსული დიდმჰყ-რობელობის პოლიტიკის ნამდვილ სახესა და მიზანს.

1905-06 წლებში რუსეთში და მთელ იმპერიაში რევოლუციური მღელვარება დაიწყო, რამაც არა მარტო ეკონომიკის განვითარებაზე იმოქმედა უარ-ყოფითად, არამედ კულტურაზეც.

აფხაზეთში ამ პერიოდში შეიძლება ითქვას, სრუ-ლად ჩაკვდა კულტურული ცხოვრება, თეატრისა და წარმოდგენებისათვის არავის ეცალა. მღელვარების



მიწწარებისთანავე წელ-წელა გამოლვიძებას იწყებს კულტურული ცხოვრებაც. 1906 წლის 30 ნოემბერს სოხუმის „სამუსიკო დარბაზში, ბ-ნ ლოლუას ლოტ-ბარობით გაიმართა კონცერტი. მონაწილეობდა 16 კაცი, რომელთაც ერთნაირი ტანსაცმელი (ჩოხა-ახა-ლუხი) ეცვათ. კონცერტი შესდგებოდა სამი განყო-ფილებისაგან. ყოველი განყოფილების დასასრულ იკითხებოდა სცენები და ლექსები. ითამაშეს სართუ-ლიანი ფერხული, ბალდადური, ხონური და ლეკური.

ტუკუ ლოლუა იყო პირველი შემკრები და შემს-წავლელი მეგრულ-აფხაზური მუსიკალური ფოლკ-ლორისა, გაეცნო სახალხო საფერულო სიმღერების მრავალრიცხოვან ვარიანტს - „შარათინას“ და იმის საფუძველზე შეიქმნა უკვე თავისი თეატრალიზებუ-ლი ცეკვა ორიგინალური მუსიკით და ყოფაცხოვრე-ბის ამსახველი ტექსტით.

ტუკუ ლოლუას მიერ შექმნილი სასიმღერო გუნ-დის რეპერტუარში პატარა სასიმღერო ამბებმა, სიმ-ღერა-მარცმა და სატირამ მიიღო სცენიური გამოსა-ხულებმა და შეიესო ახალი მასალით, ორმედიც წი-ნათ, ათეულ წელთა მანძილზე, აფხაზეთის ხალხურ შემოქმედებაში მხოლოდ ჩანსახბის სახით ჟღერდა და გამოჩენილი უსინათლო მომღერლის ჟანა აჩბას შესრულებით სრულყოფილი გახდა.

მნიშვნელოვანია ტუკუ ლოლუას ღვანლი მხარის სასცენო ცხოვრებაში, მისი ინიციატივით ხშირად იმართებოდა საქველმოქმედო საღამოები. ერთ-ერთ წერილში ვკითხულობთ: „ამას წინათ ძ. ლოლუას მე-თაურობით სოხუმის წიგნთსაცავის სასარგებლოდ გაიმართა კონცერტი და წმინდა შემოსავალი 60 მან. 34 კ. გადაეცა ქალაქის გამგეობას“.საქველმოქმედო მიზნითვე, ძ. ლოლუას სხვადასხვა ქალაქებში მოგ-ზაურობა განუზრახავს.

სოხუმში არა მარტო სპექტაკლები, არამედ იშვი-თაოდ, მაგრამ მაინც საცირკო წარმოდგენებიციმარ-თებოდა. გაზეთ „ისარში“ ვკითხულობთ: „1907 წლის 9 აგვისტოს საღამოს სოხუმში გამართულა ცირკი“.

ილია ჭავჭავაძის ვერაგულ მკვლელობას, რო-გორც თელს საქართველოში, აფხაზეთშიც დიდი გა-მობაძილი ჰქონდა. მკვლელობის სისაძაგლით აღმ-ფოთებული აფხაზეთის მოსახლეობა დამწუხრე-ბულნი აგზავნიდნენ სამძიმრის დეკემებს დედაქა-ლაქში. 7 სექტემბერს აფხაზეთში, უძველეს მოქვის ტაძარში, ხალხის თანდასწრებით, ილია ჭავჭავაძის სულის მოსახსენებლად, ნესტორ ჟორდანიამ და დი-მიტრი კაკალიაშპანაშვიდი გადაიხადეს.

შემდგომში, სოხუმსა და აფხაზეთის დაბებში იმართებოდა ილია ჭავჭავაძის ხსოვნისადმი მიძღე-ნილი საღამოები, ასევე იმართებოდა ილია ჭავჭავა-ძის ფონდის „გასაძლიერებელი“ საღამოები. „ჰნოემ-ბერს სოხუმში გაიმართა ლიტერატურული საღამო განსვენებული ილიას სახელზე (სტილი დაცულია - ი.გ.), ხალხი საკმაოდ დაესწრო, საღამოს გეგმა გამო-იხატა შემდეგმი: ბ-მა თ. სახოკიამ გააცნო საზოგა-დოებას ილიას მოღვაწეობა; ნადეჟდა სახოკიასამ ნა-იკითხა საკმაო გრძნობიერათ ლექსი ილიას ნაწარ-მოებიდან. ბ-მა ერისთავმა შესანიშნავათ წაიკითხა „გუთნის დედა“ და სხვები. ქ-მა მჭედლოვისამ თვალ-საჩინოთ შეასრულა ქართველი დედის როლი...“

1908 წლიდან სოხუმის სცენისმოყვარეთა წრის მუშაობა უფრო გამოცოცხლდა, რასაც მოჰყვა წარ-მოდგენების გახშირება.პრესიდან ამოკრეფილი ცნობებით, 1908 წლის 15 აპრილს, ქ-ნ ე. ანდრონიკაშ-ვილის ხელმძღვანელობით, წარმოუდგენიათ ბ-ნ შ. დადიანის მიერ გადმოკეთებული პიესა „ბატონი და ყმა“.წარმოდგენას ხალხი საკმაოდ დასწრებია და საკმაოდ კმაყოფილნიც დარჩენილან.

26 აპრილს ქალაქის თვითმმართველობის დარ-ბაზში ქალბატონები - ჯანდიერისა და გელოვანის გამგეობით, ილია ჭავჭავაძის ფონდის გასაძლიერებ-ლად გაიმართა ქართული საღამო, წაიკითხეს ლექსე-ბი, შემდეგ გუნდმა იმღერა „ქართველო, ხელი ხმაღს იკარ“, „ტყემ მოისხა ფითილი“ და სხვ. სიმღერის შემდეგ აჩვენეს „ცოცხალი სურათი“. შემოსავალი 1300 მანეთია.

1910 წლიდან უფრო გახშირდა სცენის მოყვა-რულთა წარმოდგენები, საზოგადოებაც თეატრს უყურადღებოდ არ ტოვებდა და თითქმის ყოველ წარმოდგენაზე ბლომად ესწრებოდა.წარმოდგენები-კი, ტრადიციისამებრ იმართება.თითქმის ყოველთ-ვის საქველმოქმედო მიზნებს ემსახურებოდა.

1911 წლისათვის სოხუმში უკვე არსებობს ე.წ. „სამურიდის თეატრი“ და ამ პერიოდიდან წარმოდგე-ნების უმეტესობა ამ თეატრში იმართებოდა.

1913 წლის ზაფხულში სოხუმში შეიქმნა სიმღე-რის მოყვარეებისაგან შემდგარი გუნდი.

1914 წლის 7-8 ივლისს დაბა ოჩამჩირეს ენვია ქართული დასი ვალერიან გუნიას მეთაურობით და წარმოადგინეს 2 პიესა: დ. ერისთავის „ოჯახის გაუ-ბედურება“ და ზედერმანის „მუშის პატიოსნება“, წარმოდგენას ხალხი ბლომად დაესწრო.წარმოდგე-ნის დასრულების შემდეგ თ. ზუსკივაძეს მიუმართავს ვალერიან გუნიასათვის დაახლოებით შემდეგი სიტყ-ვებით: „ბატონო ვალერიან! მადლობას გიძღვნით შენ და შენს ამხანაგებს ჩვენი ოჩამჩირის პატარა ქართ-ველობა, მადლობას გიძღვნის ჩვენი ნახვისათვის და ესთედიოური გემოვნების გაღვიძებისათვის. დარწ-მუნდით, ბატონებო, თუ სადმე ეჭირვება ქართულ სიტყვას თქმა და გავრცელება ეს აქ, ჩვენში, აქაურ ქართველებს შორის...“

მთელ აფხაზეთში დიდი ტკივილი გამოიწვია აკა-კი წერეთლის გარდაცვალებამ. სამგლოვიარო დეპე-შები არ წყდებოდა აფხაზეთის სხვადასხვა კუთხიდან, იმავე 1915 წელს ქართველმა ერმა დაკარგა ქართვე-ლი ერის საამაყო შვილი, პოეტი ვაჟა-ფშაველა. აფხა-ზეთის მოსახლეობა შეუერთდა ამ დიდ ტკივილს. იმ-დროინდელ პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებულ სხვა სამგლოვიარო წერილებთან ერთად, აფხაზეთი-დან მიღებული წერილები: „საქართველო სტირის და ჰგოდებს თავის საუტუეთესო შვილთა დაკარგვას“ -@ მოსთქვამდნენ აფხაზეთიდან.

1915 წელს ქ. სოქში ქართველ სცენისმოყვარეთა წრე შეიქმნა. გაზ: „საქართველოში“ ვკითხულობთ: „აქ შესდგა (სოქში - ი.გ.) სცენის მოყვარეთა წრე, წრე იმოქმედებს ქართველთა შორის წერა-კითხვის გა-მავრცელებელ საზოგადოებასთან თანხმობით, ამ დღეებში წარმოადგინა 5 მოქმედებიანი პიესა „და-მარცხებულინი“, რომლის შემოსავალიც გადაიდება გამოქცეულთა სასარგებლოდ“. გამოქცეულებში იგულისხმება! მსოფლიო ომის გამო ლტოლვილი მო-სახლეობა, რომლებიც აფხაზეთსაც აფარებდნენ თავს.

საქველმოქმედო მიზნებით საღამოების გამართ-ვა არც შემდგომ წელს შეწყვეტილა. 1916 წლის 14 იანვარს ადგილობრივი ქართული სკოლის სასარ-გებლოდ გაიმართა საინტერესო „საღამო-მეჯლისი“. 1916 წელს შეადგინეს სოხუმის დრამატული სა-ზოგადოების წესდება და მისი მთავრობასთან და-სამტკიცებლად წარდგენა მიენდო ქალაქის თავს ნი-კო თავდგირიძეს.

იმავე წელს ზაქარია ფალიაშვილს განუზრახავს იმ ზაფხულს სოხუმის ოლქში მოგზაურობა - მეგ-რულ-აფხაზური სიმღერების ნოტებზე გადასაღე-ბად და ჩასაწერად ფონოგრამის მემვეობით.

ამრიგად, როგორც ჩვენს ხელთ არსებული დო-კუმენტური მასალიდან ჩანს, 1900-1917 წლებში აფხაზეთში კულტურული ცხოვრება აღმავლობას განიცდიდა.აფხაზეთი ქართული კულტურული სივ-რცის შემადგენელი ნაწილი იყო და ცხადია, ამ მხა-რის კულტურა ც ვითარდებოდა ერთად ქართულ კულტურასთან მჭიდრო კავშირში. ასევე, ქართული კულტურის მესვეურნი, ქართული ინტელიგენცია ყოველწაირად ხელს უწყობდა აფხაზური კულტუ-რის ჩასახვა-განვითარებას, იქმნებოდა პირველი აფხაზური ნაციონალური-კულტურული დანესქეუ-ლებები. აფხაზური კულტურა ვითარდებოდა ქარ-თულ კულტურასთან მჭიდრო კავშირში და ქართუ-ლი კულტურის გავლენით, ქართველი და აფხაზი ინ-ტელიგენციის პროგრესული ნაწილის ერთობლივი სულიერი ზემთავონებით, მონდომებითა და მეცადი-ნეობით.

საქართველოზე ფიქრითა და დარდით

ნამო მარშანი

არზაყან ემუხვარის ცხოვრებისა და მოღვაწეობი-სადმი მიძღვნილი ჩემი წიგნის „ქედუხრელი რა-ინდის“ გამოსვლიდან მხოლოდ რამდენიმე თვე იყო გასული. ერთ საღამოს, გვიან ჩემს ბინაში ტე-ლეფონმა დარეკა და ძალიან სასიამოვნო ხმის, ასაკოვანი მამაკაცი გამომეცნაურა: - პეტრე ხვე-დელიძე ვარ, ვაშინგტონიდან ვრეკავ. მინდა, მად-ლობა გადაგიხადოთ ბაბუათქვენისადმი მიძღვნი-ლი წიგნისთვის.

მე შორიდან ვიცნობდი მას, ვიცოდი, რომ ის 95 წლის უხუცესი ქართველი ემიგრანტია. პეტრე ხვედელიძე დაიბადა 1918 წელს ქ.თბილისში. იგი ქართველ ემიგრანტთა იმ ტალღის წარმომადგენე-ლია, რომელიც მეორე მსოფლიო ომში ტყვეობის გამო სამშობლოში ველარ დაბრუნდა. თავდაპირ-ველად იყო ფრანგულ ემიგრაციაში, იბრძოდა საფ-რანგეთის “უცხოელთა ლეგიონში“, მოგვიანებით 1956 წელს კი ამერიკის ქართულ ემიგრაციას შეუ-ერთდა. 1967 წლიდან 1985 წლამდე მუშაობდა რა-დოი “ამერიკის ხმის“ ქართულ განყოფილებაში და 18 წლის განმავლობაში ობიექტურ ინფორმაციას აწვდიდა თანამემამულეებს გასაბჭოებულ საქარ-თველოში. პეტრე ხვედელიძე ამჟამად საქართვე-ლოდან შორს, ვაშინგტონში ცხოვრობს და მეშუა-რების წერითაა დაკავებული. უხუცესი ემიგრანტი კვლავ აგრძელებს ზრუნვას ქართველ ხალხსა და ჩვენ ჯარისკაცებზე.

ბატონმა პეტრემ მითხრა: „შორეულ 1945 წელს პარიზში, ეკლესიაში, ნირვანზე ხშირად ვხვდებოდი ერთ ძალიან მოკრძალებულ, ინტელიგენტურ, ჩუმ და თავშეკავებულ ადამიანს. იგი ყველას პატივის-ცემით ესალმებოდა, მაგრამ განსაკუთრებულად არავის ეკონტაქტებოდა. ყოველივე ეს გარკვეულ-ნილ მაკვირვებდა. მეგობრებს ვკითხე კიდევ, ვინ არის-მეთქი. მათ კი მიპასუხეს: - ემუხვარიანო. ალ-ბათ, ის იყო თქვენი ბაბუა“. მე მადლობა გადავუხა-დე მას ყურადღებისთვის და ვუთხრე, რომ ჩემი ბა-ბუა დიდ ხანს ცხოვრობდა პრალაში, ხოლო 1939 წელს გარდაიცვალა პარიზში, სადაც სულ რამდე-ნიმე დღის ჩასული იყო. პიროვნება კი, რომელსაც იგი პარიზში ხვდებოდა, იყო ვლადიმერ (ლადი) ემუხვარი, ემიგრანტი, ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე, აფხაზეთის მკვიდრი, აფხაზეთის სახალ-ხო კრების წევრი. ლადი ემუხვარს უთანხმოება ჰქონდა სოციალ-დემოკრატებთან, რაც მისი წე-რილებიდან და პუბლიკაციებიდანაც ჩანს. ის სა-ქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ედბ-ში გადავიდა. ამ ფაქტმა ჩემთვის გა-საგები გახადა, რატომ არ მეგობრობდა ის სოცი-ალ-დემოკრატებთან ემიგრაციაში ყოფნისას.

მე ხშირად ვიფიქრობდი ბაბუაჩემის არზაყან ემუხვარის თანამებრძოლებზე, იმ ადამიანებზე, რომლებიც მის გვერდით იყვნენ გაჭირვების ჟამს სამშობლოში თუ შორეულ ემიგრაციაში. ნიგნში შევეცადე მომიეხსრო ვლადიმერ (ლადი) ემუხვარ-ზე, ასევე აფხაზეთის სახალხო კრების წევრ, აფხა-ზეთის შინაგან საქმეთა კომისარ მიხელ უბირიაზე და მის ოჯახზე, რომელიც პრალაში ცხოვრობს. მაგრამ ეს არის მხოლოდ მწირი ინფორმაცია. ამი-ტომაც ამ ადამიანების ცხოვრებასა და ბედზე მა-სალების მოძიებას ვაგრძელებ. მაქვს მიმოწერა ევ-როპისა და რუსეთის ბევრ არქივთან, საიდანაც ზოგიერთი მასალა უკვე მივიღე და დამუშავების სტადიაშია. როგორც ამ მასალების მიხედვით ირ-კვევა, ვლადიმერ ემუხვარმა 1916 წელს დაამთავრა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ოურიდი-ული ფაკულტეტი. 1920 წელს კი ის თბილისის სა-ხელმწიფო უნივერსიტეტმა გაავზავნა ბერლინში სამართლის დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად. ლადი ემუხვარს ჰყავდა ერთადერთი ძმა - ალექ-სანდრე ემუხვარი, რომლის ოჯახის პოვნა, ინტენ-სიური ძიების მიუხედავად, ჯერ ვერ შევძელი.

ბერლინში მყოფი ვლადიმერ (ლადი) ემუხვარი მატერიალურ სიდუხჭირეს, უნუგეშობას, სევდას უჩიოდა თურმე. თუმცა ის არ ნებდებოდა, ებრძოდა გაჭირვებას და იმედით შეჰყურებდა მომავალს. გთავაზობთ ვლადიმერ ემუხვარის ერთ-ერთ წე-რილს, რომელიც მან მისწერა თბილისის სახელმწი-ფო უნივერსიტეტის რექტორს ივანე ჯავახიშვილს, რომლის რეკომენდაციითაც გაავზავნეს ბერლინში.

ბატონო პროფესორო !
რამდენჯერ შეგანუხეთ წერილებით, ეს უკვე მეოთხე წერილია, რომელსაც გწერთ. ბატონო პროფესორო, ამ წერილის მიღებისთანავე ფუ-ლი გამომიგზავნეთ. აგვისტოს და სექტემბერს როგორმე შეიძლება გავძლო. მხოლოდ სექტემ-ბრის დამლევის თუ არ მომისწრო ფულმა, საში-ნელ გასაჭირში ჩავვარდები. დაწვრილებითი გა-რემოებანი პირველ წერილებში ავინერეთ. სა-შინლად ამიირა მდგომარეობა ავადმყოფობამ. გამიჩნდა თავის წერვული ტკივილები. მითხრეს, რომ არანორმალური სუნთქვა გაქვს და ცხვირი უნდა მოირჩინოო. ესლა ვაქიმობ პროფესორ ფლატაუსთან. ძალიან ცუდი ბინა გამოდგა ის ბინა, რომელშიაც ვიდექი. ამ თვის დამლევის ბი-ნას დავიდეზ პანსიონში, რომელიც ნაცნობებმა მომიძებნეს, უნდა ვიხადო თვეში 2200 მარკა. როგორც მარწმუნებენ მშვენიერი ოჯახი არი-სო. მე ესდებდა ამ ნაბიჯს იმ იმედით, რომ უნი-ვერსიტეტი არ მაიძულებს ბასიაკური ცხოვრე-ბა ვატარო ბერლინში, რაც ჩემთვის ფიზიკურად



მიხეილ უბირიის ოჯახი



ვლადიმერ (ლადი) ემუხვარი

შეუძლებელია. ამასთან ერთად, ბ. პროფესორო, ბოდიშს გიხდით, ძალიან აჩქარებულად მომიხ-და ბათუმიდან წამოსვლა. ის დღე, რომელშიდაც გამოვედი, ივლისის დღესასწაული იყო და ყვე-ლაფერს კეტავდნენ. რომ მომეხსრო საქმეების მოგვარება, გადარეულივით დავებოდი და ამა-სობაში უნივერსიტეტის მონშობა დამავინყდა, მეგონა, შემდეგ ჩემს ამხანაგებს ჩამოიყვანდნენ და ჩამომიტანდნენ. ეს არ მოხდა. გთხოვთ გამო-მიგზავნოთ მონშობა. მე არ მგონია, რომ უნი-ვერსიტეტი არ დამსჯის იმისთვის, რომ ვერ შეე-სძელი იმის მოხერხება, რაც მოუხერხებელი იყო. რათა მე ჩამომეყა მხოლოდ 20 გირვანქა სტერლინგი. თვეში აქ აუცილებელია ჩემთვის 16 გირვანქა სტერლინგი. იმედია, რომ ამ წერილის მიღებისთანავე, რამდენიმე თვის ფულს გამოავ-ზავნით, მხოლოდ გთხოვთ, ფულს კასაში ნუ ინახავენ ბონებში, რათა შეიძლება ცოტა სტერ-ლინგებზე გადაახურდავონ. შეგიძლიათ მთავ-რობასთან ისე მოახერხოთ, რომ აქ მაძლიოს სა-ელოჩო რეგულიარულად ისე, როგორც მთავრო-ბის სტიპენდიანტებს ეძლევათ. ყოველ წელიწად-ვაში, თუ არ მომანვდით, სასონარკვეთილებაში ჩავვარდები. აქ არც მისიისგან მივიღებ და გერ-მანელები კი ერთ წუთს არ გაცლიან. საზოგა-დოდ უნდა მოგასხენიოთ, ბ. პროფესორო, რომ ადამიანს გროშები მისცე და დავალო პროფე-სორად მოეზნადეო, შეუძლებელია. აუცილებ-ლად საჭიროა შექმნათ ჩვენი ისეთი მდგომარე-ობა, რომ ამაზე არ დაგვჭირდეს ფიქრი, თორემ გაჭირვება ისეთ ფსიქოლოგიურ მდგომარეობას ქმნის, ნორმალურად მეცადინეობა ძალიან ძნე-ლი ხდება და ჩვენ იმას, რაც სტუდენტობის დროს აგვიტანია, ვერ ავიტანო. რომ ჩვენი ძალა მატერიალურ მდგომარეობაზე ფიქრსა და მას-თან ბრძოლას მოვახმაროთ, ვერ შევძლებთ იმის შესრულებას, რაც დავალებული გვაქვს და სხვას რომ თავი დავანებოთ, ის ჩვენს პირად თავმოყვარეობასაც შელახავს.

ჩემი სოციალური განწყობა ძალიან ცუდია, სულ იმაზე ვფიქრობ, თუ რა მომელის, ვინაიდან მე დანამდვილებით კარგად ვიცი, თუ რას ნიშ-ნავს გაჭირვება ევროპაში. აი სწორედ ამის მე-შინოდა როდესაც თქვენს წინადადებაზე ევრო-პაში წასვლის შესახებ ასე ძლიერ განვიცდიდი. უბედურ დროს მომიხდა საქართველოდან წა-მოსვლა და არ ვიცი რა მომელის.

იმედი გვაქვს, რომ მეცადინეობას არ დაგ-



მიხეილ მარშანია

ვაკლებთ. მომეცით შეძლება, რომ დამშვიდებით შევუდგე საქმეს.

*თქვენი პატივისმცემელი
ვლადიმერ ემუხვარი.
 14 აგვისტო, 1920 წ. ბერლინი
 (სტილი დაკულია).*

1931 წელს ვლადიმერ ემუხვარი საფრანგეთში ჩადის. ეს ჩანს საქართველოს შინაგან საქმეთა მი-ნისტრის, აკაკი ჩხენკელისადმი გაგზავნილი წერი-ლიდან, რომელიც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს ეროვნულ არქივ-ში დაცულ დოკუმენტებში აღმოჩნდა. წერილში მი-სი ზიოგრაფიის უცნობი დეტალებიცაა.

ძვირფასო აკაკი, ჩამოვედი საფრანგეთში პირველ იანვარს. ესლა ვიმყოფები გრენობლში და ვფიქრობ აქ დარჩენას საცხოვრებლად. მაქვს კარტიდიდანტიტიე ასალები აქედან 5 დღეში. ჩემს თურქულ პასპორტში მიწერია რუსი და არ მინდა, რომ ფრანგულშიც ასე ჩამიწერონ, თან მინდა რომ ვითვლებოდე დამოუკიდებელი საქართველოს მოქალაქედ, რისთვისაც გთხოვთ, რომ მომიხერხოთ და 5 დღეში გამომიგზავნოთ ქართული პასპორტი. აგრეთვე, გთხოვთ, პას-პორტში თუ მოსახერხებელია, სრულებით ჩამი-წეროთ ტიტრი თავადისა. მე მაგისტანების კაცი არა ვარ, ჩემთვის თავადობას მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ ეს მინდა გავაკეთო ჩემი რძლის ვე-რონიკა ემუხვარის ხათრით. ჩემი რძალი ატა-რებს თავადის ნოდებას სწორედ ამისათვის. გთხოვთ, მაცნობოთ პასპორტის (ერთლია-ნი) გადასახადი, რასაც გადმოგიგზავნით. გი-ლოცავთ ახალ წელს. გთხოვთ, მიიღოთ და გა-დასცეთ თქვენს ძვირფას ცოლ-შვილს ჩემი ულ-რმესი პატივისცემა.

თქვენი ვლადიმერ ემუხვარი.

პასპორტისათვის: დავიბადე 1891წ. ს. ოქუშში. მამა - ალექსანდრე გიორგის ძე ემუხ-ვარი, დედა - ძაკუ ჩანთას ასული ანჩაბაძე-ემუხვარი.

თურქულ პასპორტში მიწერია დაბადება ქ.სოხუმისა და იმიტომ უუეთესი იქნება ჩამიწე-როთ პასპორტში ქ. სოხუმი.

*6 იანვარი 1931 წ. გერნობლი
 (სტილი დაკულია).*

ასევე დიდ ხანს ვეძებდი ლადი ემუხვარის ფო-ტოსაც. ჩემდა სასიხარულოდ და გასაოცრად სწო-რედ ამ წერილს ახლდა ლადი ემუხვარის პატარა ფოტო პასპორტისთვის.

ვლადიმერ ემუხვარი ემიგრაციაში თანამშ-რომლობდა გაზეთებთან და ჟურნალებთან: „თეთ-რი გიორგი“, „დამოუკიდებელი საქართველო“, „სამშობლო“, „კავკასიონი“, „კავკასია“ და სხვ. ძალზე საინტერესო და მწვავეა მისი პოლემიკური სტატიები. ამკარად ჩანს, რომ ლადი ემუხვარი არის თავისებური პიროვნება, უკომპრომისო, პრინციპული, სამშობლოსადმი უსაზღვროდ ერთ-გული პატრიოტი.

ლადი ემუხვარი გარდაიცვალა 1961 წელს, აბონდანში, პარიზთან ახლოს, მოხუცთა თავშესა-ფარში. ეს სახლი თავის დროზე დააარსეს გლაზ-ბერგმა, საზონტიევმა და ლევან ზურაბიშვილმა. ზოგჯერ ამ სახლს თავად ემიგრანტები ეძახდნენ Abandon-ს (მიტოვება). ადვილი წარმოსადგენია, რა გრძნობები ეუფლებოდა ლადის იქ სამშობლო-დან შორს, ოჯახისა და ახლობლების გარეშე...

ნიგნზე მუშაობისას, მივაგენი მიხეილ უბირიას ოჯახს, შვილიშვილებს, რომლებიც ცხოვრობენ პრალაში. რაოდენ სასიხარულო იყო, როდესაც მი-ხეილ უბირიას ერთ-ერთი შვილიშვილი, ასევე მი-ხეილი (კანეჩეკი), ასე ეძახდნენ მას ბაბუას საპა-ტივცემულოდ, ამ ზაფხულს საქართველოში მე-ულლესთან და ქალიშვილთან ერთად ჩამოვიდა. ბოლოს იგი საქართველოში, სოხუმში, ოცდაათი წლის წინათ იმყოფებოდა. მაშინ იქ მისი მასპინძე-ლი იყო ბიძა ხუტა ბარკალაია (მისი დედა იყო ლი-დია გერსამია-უბირიას და), მთელ აფხაზეთში ცნობილი ექიმი, რომელიც აფხაზეთში სამხედრო მივლინების დროს დაიღუპა. თბილისში კი მას ახ-ლა ხუტა ბარკალაიას შვილის - ვახტანგ ბარკალა-იას ოჯახი დახვდა. ისინი დიდ ხანს ეძებდნენ ერთ-მანეთს და ბოლოს და ბოლოს ოპოვეს. დაუვინყარი იყო ეს შეხვედრა, მხიარული და სევდიანი მოგონე-ბები. მიხეილ ვანეჩეკმა აღნიშნა: „**მე ცოტა რამ ვიცოდი ბაბუაჩემზე - მიხეილ უბირიაზე, თუ რას საქმიანობდა აფხაზეთში, რადგან ბაბუა არასდროს გვიყვებოდა ამაზე. ალბათ, ჩვენ გვიფრთხილდებოდა, ემიგრანტების და მათი ოჯახების ცხოვრება ხომ არც ისე ადვილია. ჩვენ არ შეგვჩნა არც ერთი წერილი, დღიური, არც მოგონება. გვაქვს მხოლოდ ნიგნი, რომე-ლიც დანერა ბაბუამ და ის ეძღვნება საქართვე-ლოს ეკონომიკურ განვითარებას**“. ცნობილი ფაქტია, რომ მეორე მსოფლიო ომის დამთავრები-სა და საბჭოთა ჯარის ჩეხოსლოვაკიაში შესვლის შემდეგ, დაპატიმრებულ იქნა და უგზო-უკვლოდ დაიკარგა 150 ემიგრანტი. ამიტომ მესმის, რატომ არ ჰყვებოდა მიხეილ უბირია თავის წარსულზე. ამ შეხვედრისას ჩემთვის ყველაზე გულის ამაჩუყებე-ლი იყო მიხეილ ვანეჩეკის სიტყვები, რომლითაც მომმართა: „თქვენ ჩემი ახლობელი ხართ, ჩვენი ბა-ბუები ხომ ძმებვით იყვნენ!“

მიხეილ უბირია იყო არზაყან ემუხვარის ყვე-ლაზე ახლო მეგობარი, რომლის ოჯახშიც იგი ჰპო-ვებდა სიმშვიდეს, გრძნობდა სითბოს და ემიგრა-ციის მონამლული ატმოსფერო ავიწყდებოდა. ვლადიმერ ემუხვარმა 1926 წელს პრალაში მონათ-ლა მიხეილ უბირიას ერთადერთი ქალიშვილი ნი-ნო. ისინი ცდილობდნენ ერთად ყოფილიყვნენ, კი-დეე უფრო გაემყარებინათ მეგობრული ურთიერ-თობა, რომელიც თანდათანობით ნათესაობაში გა-დაიზარდა. ჩემი წიგნის გამოსვლის შემდეგ, ემიგ-რაციის მუზეუმში კვლავ მუშაობისას შემთხვევით მივაგენი მიხეილ უბირიას წერილს, რომელიც 1939 წლის აპრილში პარიზში გამომავალ ჟურნალ „და-მოუკიდებელ საქართველოში“ დაიბეჭდა. წერილი ეძღვნება არზაყან ემუხვარის ხსოვნას და გამოხა-ტავს დიდ ტკივილს მეგობრის უეცარი სიკვდილის გამო. გთავაზობთ ნაწყვეტს იმ წერილიდან:

**კეთილშობილი ადამიანი
 მტკიცე მეტრძოლი, დიდი პატრიოტი
 (ძვირფასი მეგობრის, არზაყან ემუხვარის ხსოვნას)**

....ვერავითარმა ციხემ, დევნილობამ, დამარ-ცებამ არზაყანი ვერ შეარყია. რამდენი იერიში მოიტანეს მასზე, მის აფხაზობასა და შთამომავ-ლებზე. რუსიფიკატორებმა და მათმა შეგირ-დებმა - აფხაზეთის ინტელიგენციის პატარა ნა-წილმა - ევ.წოდ. დიდი წყლის: „ჯოზია, რომ დიდი რუსის წყალმა წაგვიღოს, ვიდრე პატარამო“. ამათ ერთხელ და სამუდამოდ გასცა მან შემდე-გი პასუხი: „მე არ მინდა აფხაზეთი წაიღოს არც დიდმა და არც პატარა წყალმა, მე მინდა მისი ეროვნული აღორძინება, კულტურულ-ეკონო-მიური განვითარება. ეს კი შეიძლება მხოლოდ მისი ისტორიული, ბუნებრივი, ორგანულის ფარგლებში“.

არზაყანის ეროვნულ-პოლიტიკური მრწამ-სი იყო, ავტონომიური აფხაზეთი თავისუფალ, გაერთიანებულ საქართველოში. ავტონომია არა ავანტურისტული მიზნებით - ირედენტის მო-სამზადებლად რუსი მოხელეების კონცეფციით, ანდა გაყოფის განზრახვით - ეს ხომ სწორედ რუ-სის ზღვაში გაქრობა იქნებოდა, არამედ ავტო-ნომია იმიტომ, რომ აფხაზეთს თავისი განსა-კუთრებული პირობების მიხედვით შეეძლოს ხელშეშლელად სრულად ჰარმონიული განვი-თარება - ეროვნულ, კულტურულ, ეკონომიური. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ საქ-

რთველოს ფარგლებში. მხოლოდ ამ გზით შეუძლია აფხაზეთის შეინარჩუნოს თავისუფლება და ამავე დროს პირდაპირი გზით შეითვისოს ევროპული კულტურა და ეს იმიტომ, რომ აფხაზეთი ორგანული ნაწილია საქართველოს - შთამომავლობით, ისტორიულად, ეკონომიკით და ჩვეულებით.

და მჩაგვრელების მხარეს იყო ვეებერთელა ფიზიკური და ეკონომიური ძალა. არზაყანს კი ჰქონდა -სიმართლე და მორალური ძალა. ყველა მათ თავდასხმაზე უპასუხებდა არა სიტყვით, არამედ გაორკეცებული მოქმედებით, ხშირად კლდის სიჩუმით, მაგრამ მუდამ კლდედავით სიმამართ. მან არ იცოდა შიში, სწორედ თავისი მორალური ავტორიტეტით თუ უშიშრობით განაიარალებდა ხოლმე მტერს. როცა 1921 წ. თებერვალს ჩამოვიდა აფხაზეთში რუსის წითელი ჯარი, ჩვენმა ჯარმა კი დაიხია, არზაყანმა უკანასკნელმა დატოვა სოხუმი რუსების პირველი რიგების ჩამოსვლის შემდეგ. სანამ ის ოჩამჩირეს გასცილდებოდა, მათ ტელეფონით მიიღეს სოხუმიდან ბრძანება: „ემუხვარი მიემგზავრება ავტომობილით, დაიჭირეთ“. კიდევაც დახვდნენ ამ ტელეფონოგრაფიით ხელში, დასაჭერად, მაგრამ ვერ გაბედეს: „წადით, და იჩქარეთ, შარს ნუ მოგვდებო“.

თან მახსენდება ერთი ფრიად სიმბოლური ეპიზოდი მომხდარი ოცი წლის წინად. ეს იყო ჯერ კიდევ ის იდეალური დრო, როცა რუსულ კომუნიზმს არ გამოუშავარავებია ჯერჯერობით მთლიანად თავისი უნემი იმპერიალისტური ბუნება, ჰქონდა რამდენიმე იდეოლოგიური მიმზიდველობა. ჩვენში, აფხაზეთის ინტელიგენციაში, იყო ქართული მცირე ფრთა, კომუნიზმის მიმდევრები. ეს იყვნენ სალონის კომუნისტები, სრულიად არამაგნებელნი, მთელ დროს სოხუმის ბულვარში ატარებდნენ.

ჩვენში ისეთი წესრიგი და ანტიკომუნისტური სულისკვეთება იყო ყველგან, რომ ამ სნობების „რევოლუციური“ მოქმედებებისთვის პოლიციაც თავს არ იტყვდა. შეხვდნენ ერთ საღამოს არზაყანს ბულვარში და რა თქმა უნდა ეკამათეს. ამ საუბრის დროს არზაყანმა მიმართა ერთ მათგანს, სხვათა შორის მის ნათესავს: „სად იცქირები მაგრე ზევით ცისკენ, შენი პოლიტიკოსობაც მგონი იქ დაფრინავს ჰაერში და მიწას, რეალობას არ ეხებაო“. მან უპასუხა: „ვეძებ ხეს, სულ მაღალ ხეს, სადაც უნდა ჩამოვიდო, როცა აქ კომუნიზმი გაიმარჯვებსო.“ არზაყანმა ღიმღიით



მეხიელ კანეჩეკის ოჯახი თბილისში

მიუგო: „ჰო, შეიძლება ეს არც ერთმა თქვენგანმა არ ჰქნას, მაგრამ ეჭვი არ მეპარება, რომ ამას იზამენ თქვენი ბატონ-პატრონი რუსი კომუნისტები. მამ ბარელამ თქვენთვისაც ამოირჩიეთ წინდანნი ეს ხეები.

თქვენ გულუბრყვილობით არ ხედავთ კომუნისტური რევოლუციური ფრაზეოლოგიის ქვეშ ნითელს რუსულს იმპერიალიზმს. თქვენ მათ უნდევხართ, როგორც ლელვის ფოთოლი, ბარბაროსული სინამდვილის დასამალად. მაგარი გააკეთებს დავკეთილ საქმეს, მაგარი ნავა. რას ჰქვია ნავა, ვინ გაუშვებს, სწორედ ამ ხეზე იქნება ჩამოკიდებული. საუბედუროდ, ვამბობთ საუბედუროდ - ერის უმაღლესი ინტერესების გათვალისწინებით, რამდენიმე მათგანს შეუსრულდა ეს წინასწარმეტყველება.

არზაყანი ემიგრაციაში წელიწადნახევარს სტამბოლში ცხოვრობდა, მას ჰქონდა უფლება და საშუალება საფრანგეთს წასულიყო. პრალა არჩია - არ მივსა მთავრობას ზედმეტი ტვირთი დავეკიდო, როგორც ყველა ემიგრანტი, ძალიან შევიწროვებული იყო ნივთიერად. თავის პატარა ოთახს, ტანისამოს ისე უვლიდა, რომ ბევრ ქალსაც არ შეეძლო. ყველაფერში აფხაზურად კოხტა, სუფთა, სპეტიკი იყო. ალბათ სულიერი სინმინდე ითხოვს ფიზიკურ სისუფთავესაც. ფუფუნებაში ის არასდროს ყო-

ფილა. ემიგრანტულ და რევოლუციურ ცხოვრების დროს კი არა, როცა ის აფხაზეთის ავტონომიის მთავრობის თავმჯდომარე იყო, ოჯახი მშვიერი დაურჩებოდა, რომ მისი ძმა არ დახმარებოდა, მას ყოველთვის მოჰქონდა სოფლიდან, თავისი მამულიდან სიმინდი, ლობიო, ყველი და სხვა.

ამ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში მას შეუწყვიტეს ცოლ-შვილთან წერილობითი კავშირიც. წერილს უკან უგზავნიდნენ, ადრესატმა ვერ მიიღო. სამშობლოსა და ცოლ-შვილს მოშორებულმა, ემიგრანტულ ცხოვრების უკუღმართ პირობებში, ახლანდელ საყოველთაო ქაოსის და გზა-კვალაბნეულობის დროს არზაყანმა შეინარჩუნა სულიერი სიმტკიცე, რწმენა, ოპტიმიზმი. მას არ მოსდებია არავითარი ემიგრანტული ტალახი - „სმენოვეხურ“, სენი დიდი კაცობის და სხვა. დარჩა ისევე ის ძველი არზაყანი, კლდედავით ჩუმი და მაღალი. კლდედავით მტკიცე და წმინდა. სულიერად თუ არ გატყეხილა, რა გასაკვირია, რომ დაიქანცა ფიზიკურად. ვერ ეღირსა სამშობლოს განთავისუფლებას, ვერც ცოლ-შვილის ხილვას.

ორი წელიწადია, ცდილობდა საფრანგეთში წასვლას. ვიმედოვნებ, რომ ერთი კვირით მაინც გაიხარა, მეგობრული და ეროვნული წრის სიკეთითა და სიტყვებით. თვითონაც მომწერა: მეგობრებმა მართლა მეგობრულად მიმიღესო. მეორე ნუგეში ისაა, რომ განისვენებს საძმო სასაფლაოზე სხვა ეროვნულ ძმებთან ერთად. მით უფრო უეჭველია, რომ თავისუფალი საქართველო შეუსრულებს მუდმივ და მხურვალე სურვილს- მის ძვლებს მაინც დაუბრუნებს მშობლიურ მიწას.

(სტილი დაკულია).

არქივში მუშაობისას შემთხვევით წავანყდი ვინმე მიხეილ მარშანიას საზღვარგარეთის პასპორტს, გაცემულს 1919 წელს. იგი 22 წლისა ბრუნდებოდა კონსტანტადან (რუმინეთი) კონსტანტინოპოლში. მას შესახებ სხვა ვერაფერი ვიპოვე... ამ მასალებთან ერთად იყო ჯოტო შერვაშიძის ნეკროლოგი, ცნობილი საზოგადო მოღვაწისა და მენარმისა, რომელიც 1935 წელს მოულოდნელად გარდაიცვალა სტამბოლში. საქალაქად დავხურე და დიდხანს გაუნძრევლად ვიჯექი. ვცდილობდი, ცრემლები შემეკავებინა და თან ვფიქრობდი თანამემამულეთა ბედ-იღბალზე, რომლებიც ამასობაში ჩემთვის ახლობლები

ისტორიულ ტაო-კლარჯეთში



21-23 ივლისს აფხაზეთის საჯარო სკოლების და რუსეთის მიერ ოკუპირებული გალის რაიონის ტერიტორიაზე განთავსებული საშუალო სკოლების ოქროსა და ვერცხლის მედალოსნებისათვის მოეწყო სპეციალური ტური ისტორიულ ტაო-კლარჯეთში (თურქეთის რესპუბლიკა). მოზარდებმა დაათვალიერეს: ტბეთი, ხანძთა, დოლის ყანა, ჯოჯოხეთის კანიონი, არტანუჯის ციხე, თორთომის ტბა და

ჩანჩქერი, ოშკი, ხახული, ოთხთა, იშხანი, ბანა.

ტური სამი დღის განმავლობაში გრძელდებოდა. პროექტი წარმოადგენს სამინისტოს „სამშვიდობო და სამოქალაქო განათლების მხარდაჭერის პროგრამის“ ნაწილს. მისი მიზანია წარმატებული ახალგაზრდების წახალისება და დევნილთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა.

დევნილი მოზარდები ათენში



22 აგვისტოს აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ორგანიზებით, აფხაზეთის მთავრობისა და ათენის მერიის მხარდაჭერით, აფხაზეთიდან დევნილი სოციალურად დაუცველი 40 ბავშვი საბერძნეთის რესპუბლიკის ქ. ათენის მულტიკულტურულ ბანაკში „ახიოს ანდრეა“ დასასვენებლად ორი კვირით გაემგზავრა.

ამ ბანაკში მონაწილეობით აფხაზეთიდან დევნილ ახალგაზრდებს, დასვენებასთან ერთად საშუალება ჰქონდათ, ჩართულიყვნენ მრავალფეროვან კულტურულ პროგრამაში, დამეგობრებოდნენ თანატოლებს ბულგარეთიდან, იტალიიდან, სლოვენიიდან, რუსეთიდან, გერმანიიდან და სხვა ქვეყნებიდან.

ეკო-ტური ლაგოდების ნაკრძალში



28-30 სექტემბერს აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ორგანიზებით, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს დაცული ტერიტორიების სააგენტოს მხარდაჭერით, აფხაზეთიდან დევნილი 43 მოზარდი მონაწილეობდა 3 დღიან საგანმანათლებლო ეკო-ტურში ლაგოდების დაცულ ტერიტორიაზე. ამ ეკო-ტურის მიზანია მოზარდებში ეკო-

ლოგიური განათლებისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია; მათში ველურ ბუნებაში ცხოვრებისა და გადაადგილებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარება; აფხაზეთიდან დევნილი მოზარდების საზოგადოებასთან ინტეგრაციის ხელშეწყობა.

პროექტის ფარგლებში დაგეგმილი იყო სხვადასხვა კულტურულ-შემეცნებითი და სპორტული ღონისძიებები. მონაწილეები სამდღიანი ტურიდან დაუვინყარი შთაბეჭდილებებით დაბრუნდნენ.

გამოფენა, რომელმაც მხატვრების 80 წლის შემოქმედება გააერთიანა



გამოფენაზე

აია ჟონია

საქართველოს ეროვნულმა გალერეამ საქართველოს მხატვართა კავშირის დაარსების 80 წლისთავისადმი მიძღვნილ გამოფენას უმასპინძლა. გამოფენაში 100-ზე მეტი ხელოვანი მონაწილეობდა. მათ შორის იყვნენ აფხაზეთიდან დევნილი მხატვრებიც. ექსპოზიციაზე წარმოდგენილი იყო, როგორც მოქმედი ცნობილი მხატვრების, ასევე მხატვართა კავშირის გარდაცვლილი წევრების 200-ზე მეტი გრაფიკული, ფერწერული და სკულპტურული ნამუშევარი. ამ მასშტაბის გამოფენა ბოლო ოცი წლის განმავლობაში პირველად გაიმართა. გამოფენის ორგანიზატორები არიან: საქართველოს ეროვნული მუზეუმი, საქართველოს მხატვართა საერთაშორისო შემოქმედებითი კავშირის და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო.

„საქართველოში მხატვრობის დიდი ტრადიცია არსებობს და ამ გამოფენამ დაამტკიცა, რომ იგი წარმატებით გრძელდება. ხშირი ყოფილიყოს ასეთი დღეები“, - ამ სიტყვებით გახსნა გამოფენა ეროვნული მუზეუმის დირექტორმა დავით ლორთქიფანიძემ.

საიუბილეო ექსპოზიციაზე ყველა მონაწილის თითო ნამუშევარი იყო წარმოდგენილი. ყველა მათგანი შევიდა ამ თარიღისადმი მიძღვნილ კატალოგში, რომლის პრეზენტაციაც უახლოეს მომავალში გაიმართება. აქ დამთვალიერებელი ნახავდა ელენე ახვლედიანის, ედმონდ კალანდაძის, რადიმ თორდიას, სერგო ქობულაძის, ასევე, რეზო ადამიას, კოკა ციხელაშვილის, ნინო ზაალბიშვილის, ვანო აბულაძის, ესმა ონიანის, გივი თოიძის და სხვათა ნამუშევრებს. ამ მასშტაბის გამოფენაში მონაწილეობა განსაკუთრებული პატივია და დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს აფხაზეთიდან დევნილ იმ რვა მხატვარს, რომელთა ნამუშევრებიც საქართველოს

ში მონაწილეობა. ჩვენი შემოქმედების თემატიკა მრავალფეროვანია, აფხაზეთთან ერთად სხვა თემებსაც წარმოვაჩენთ. მე ექსპოზიციაზე წარმოვადგინე ნახატი, სახელწოდებით „ინტერპრეტაცია“.

დავით ბაძალუა - მხატვარი:

საქართველოს მხატვართა კავშირის დაარსების 80 წლისთავი უმნიშვნელოვანესი თარიღია არა მხოლოდ მხატვრების, არამედ ზოგადად ქართული კულტურის ისტორიაში. ამ თარიღთან დაკავშირებულ გამოფენაზე მოხვდა ჩემი ნახატი „მოლოდინი სოხუმის პორტთან“, რომელიც ჩემთვის ძალიან ღირებულია. ამ ნახატით გამოვხატავ აფხაზეთის საზოგადოების გულისტკივლს - ჩვენ მოწყვეტილი ვართ მშობლიურ კუთხეს. წარმოვიდგინე, რომ სოხუმის პორტში დგანან აფხაზი ქალი და ბავშვი, რომლებიც ჩვენს დაბრუნებას ელიან. მიხარია, რომ სწორედ ეს სურათი შეარჩია კომისიამ. ეს

ელდარ ქაფშაია - მხატვარი:

ექსპოზიციის მოწყობაში პირადად გმონაწილეობდი. აქ გამოიფინა თითქმის ყველა თაობის მხატვრების სხვადასხვა სტილის, მიმართულებისა და კონცეფციის ნამუშევრები. დამთვალიერებელი ნახავდა მოდერნისტული და აბსტრაქტული ფორმის ფერწერულ ტილოებსაც. წარმოდგენილი იყო ასევე კონცეპტუალური მხატვრობა. სწორედ ამ მრავალფეროვნებით იყო გამოფენა საინტერესო.


ავთანდილ შენგელია - მხატვარი:

ჩემთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ამ თარიღს და ამ გამოფენას, რადგან ჩემი ნამუშევარი გამოიფინა ისეთი დიდი მხატვრების გვერდით, როგორებიც არიან ქობულაძე, ახვლედიანი და სხვები. ჩემს ფერწერულ ტილოს, რომელიც აქ წარმოვადგინე, ჰქვია „იალქენი“. იალქანი ამ შემთხვევაში სიმბოლოა, რომელიც შეიძლება სოხუმშიც იყოს, ბათუმშიც ან სხვა ქალაქი. უბრალოდ, ამ ნახატში ზღვის თემა წარმოჩენილი.

ნუგზარ მაგლობლიშვილი - მხატვარი:

საერთოდ, მხატვრისთვის გამოფენას დიდი მნიშვნელობა აქვს. ძალიან მიხარია, რომ ასეთი მასშტაბური გამოფენა შედგა. შენს ნამუშევარს შენი კოლეგების გვერდით რომ ხედავ, ეს მხოლოდ გამდიდრებს. აქ ყველაზე კარგად ამჩნევ შენს შეცდომასაც და ღირსებასაც. ამ გამოფენაზე წარმოვადგინე ჩემი აბსტრაქტული კომპოზიცია სახელწოდებით „სააღდგომო“.

დასასრულ, გამოითქვა სურვილი, რომ მსგავსი გამოფენების მოწყობა ყოველ შემოდგომასა და გაზაფხულზე ტრადიციად იქცეს.



ალექსანდრე ხუბუა და ავთანდილ შენგელია

მხატვართა კავშირთან არსებულმა სპეციალურმა კომისიამ ამ გამოფენისთვის შეარჩია. ესენი არიან: ალექსანდრე ხუბუა, ნუგზარ მაგლობლიშვილი, ზურაბ ჭეია, ავთანდილ შენგელია, ელდარ ქაფშაია, დავით ბაძალუა, ჭოლა კუკულაძე, რამინ აფაქიძე.

ცისანა მჭედლიძე, საქართველოს მხატვართა კავშირის თავმჯდომარე:

აფხაზეთის მხატვრები საინტერესო შემოქმედებითი ცხოვრებით გამოირჩევიან, ისინი წამითაც არ მოდუნებულან. შესაბამისად, ხშირად ვუწყობთ მათ როგორც პერსონალურ, ისე ჯგუფურ გამოფენებს. ამჟამად ამ პროექტში ჩაებავენ. უახლოეს მომავალში ცალკეც ექნებათ გამოფენა.

ალექსანდრე ხუბუა, აფხაზეთის მხატვართა კავშირის თავმჯდომარე:

ჩვენთვის - აფხაზეთის მხატვრებისთვის დიდი პატივი და პასუხისმგებლობაა ამ გამოფენა-



დავით ბაძალუა და ჭემბერ ბეჭვაია

დეზიუდი



თამარ ხაჯბა ეროვნებით აფხაზი ახალგაზრდაა, რომელიც ჩვენსავით დევნილობაში ცხოვრობს და ქართულ ენაზე წერს ლექსებს. მისი ლექსები ადასტურებს, რომ ქართველებსა და აფხაზებს უფრო მეტი გვაკავშირებს, ვიდრე გვეყოფს. მალე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს „ახალგაზრდულ ინიციატივათა მხარდაჭერის“ პროექტის ფარგლებში მისი პირველი პოეტური კრებული გამოიცემა. გთავაზობთ რამდენიმე ლექსს იმ კრებულიდან:

შენს სამფლობელოს რომ მოვადექი, მაშინ ვიგძენი რას ნიშნავს ცოდვა, მაშინ ვინამე ერი და ბერი, შენს ხატებაზე დავინყე ლოცვა. დღეს ბენვის ხიდზე გავდივარ მარტო, ბეჭებს მიმიძიებებს მიმივე ცოდვები ნუ მომანატრებ შენს წმინდა სამწყსოს სამარადისოდ დავემონები, დღეს უფრო მეტად ვიტყვი, რომ ერთი არს სული წმიდა და მამა ღმერთი. დღეს გავიაზრებ: სამხმოვანება რომ არის სულის თანხმოვანება. დღეს ვიტყვი: სულის საგალობელი არის იესო და ღვთისმშობელი. ვინამე, ვიტყვი: ვარ ქრისტიანი და თუ არ არის კიდევ გვიანი გთხოვო: შემინდე! სხვა ცოდვიანი კიდევ ბევრია უფალო... ამინ!

შავ ორქიდეებს... შავ ფერს საით ნაუხვალ ამდენს?! შავ ორქიდეებს... მაგლებს შენს ნაპირებთან დავდებ.

წაგლეკავს მათი გამმა და ჩემი ლექსის ექო, ეს დაუბერა ქარმა, თუ სულს მიბერავ, ღმერთო?! ჩემში არსება იწვის, შენ რომ გაღმერთებს-ეგო, ასეთი მწარე რითმი, ლექსების რატომ მერგო?! და შენ დაგრჩება ყველა, რომ გადავიდე ზღვარზე, შავ ორქიდეებს ახლა საით ნაუხვალ ამდენს?! გამმები გემის მათი? მათი შფოთი და ფთქვა, აჰა, დამთავრდა მარტი, იცი, რა თვია ახლა? შავ ორქიდეებს, შავ ფერს საით ნაუხვალ ამდენს?!

დედა, ამდენი სტუმარი რატომ? ყველა შავებში, ყველა ჩემს ირგვლივ... ყველა რაღაცას მოსთქვამს და დარდობს, შემზარავი ხმით სუყველა ტირის... გამაგებინეთ, ხალხო, რა ხდება?!

დედა, შენც აქ ხარ გონიბზენილი? ყველა ფერები დღეს რატომ კვდება და გარეთ ვილაც კივის შუშლილი... გამოაფხიზლეთ დედიკო ვინმემ!!!! მაშინ მე მაინც მივეშველები, დედიკო, აქ ვარ, შემხედე, გისმენ... მოგეშველები, მაგრამ ვერ ვდგები... ამდენი ვარდით ნუ მაგვირგვინებთ, ზამბახი მიყვარს გესმით, ზამბახი!!! თქვით რომელიმე დღეს რას მიპირებთ? ასეთი რამე არ მაქვს ნანახი... დღეს თავთან რატომ მინთებენ სანთელს? სუნი რატომ მცემს ოქროს საკმევლის? რატომ ბუტბუტებს მღვდელი ჩემს სახელს? ჭალარა ქალი კიდევ რას მერჩის? ნელან მოგქონდათ და ახლა მიგაქვთ, ნელან მჩუქნიდით და ახლა მართმევთ? ჯანდაბას, იყოს, მე ვარდიც მიყვარს რატომ აყვირდით? რატომ ყაყანებთ? ზევით რატომ მწევთ? ზევით რა მინდა?! ხელი გამიშვით, დამსვით მიწაზე!!! დე ყველა ერთად რატომ ატირდა? ღმერთი არა გნამთ, ხალხო? ინამეთ! დე, ცივ ორმომი რატომ ვეშვები? ტირილი მინდა, ცრემლები მახრჩობს. მინას რად მაყრის ავი ნიჩბები? ეს რას ჩადიხართ, მიშველეთ, ხალხო!

ხელოვანის გახსენება

ნატო გრიგოლია

5 ივლისს ეროვნული ბიბლიო-
თეკის საგამოფენო დარბაზში აფხა-
ზეთის ხელოვნების დამსახურებუ-
ლი მოღვაწის, მხატვარ ჭოლა კუკუ-
ლადის ხსოვნისადმი მიძღვნილი სა-
ლამო გაიმართა. სალამო აფხაზეთის
ავტონომიური რესპუბლიკის მთავ-
რობის მხარდაჭერით და აფხაზე-
თის ავტონომიური რესპუბლიკის
განათლებისა და კულტურის სამი-
ნისტროს ორგანიზებით ჩატარდა.
იქვე შედგა მხატვრის პერსონალუ-
რი გამოფენა და მისი ნამუშევრების
ალბომის პრეზენტაცია. ალბომისა,
რომელიც აფხაზეთის ავტონომიუ-
რი რესპუბლიკის განათლებისა და
კულტურის სამინისტროს “კულტუ-
რის განვითარების მხარდაჭერის
პროგრამის” ფარგლებში გამოიცა.

ჭოლა კუკულაძე - ფერმწერი
გრაფიკოსი, ოფორტისტი, მოქნ-
დაკე, ილუსტრატორი, საზოგადო
მოღვაწე, წლების განმავლობაში
აფხაზეთის მხატვართა კავშირის
თავმჯდომარე წლეულს 92 წლის
გახდებოდა.

როგორც აფხაზეთის განათლე-
ბისა და კულტურის მაშინდელმა მი-
ნისტრმა ალექსანდრე აპლაკოვმა
აღნიშნა: “ჭოლა კუკულაძე იყო
აფხაზეთის ინტელიგენციის თვალ-
საჩინო წარმომადგენელი, ერთ-ერ-
თი იმ პიროვნებათაგანი, რომელიც
თავის დროზე აფხაზეთში კულტუ-
რული ცხოვრების აღორძინების სა-
თავეებთან აღმოჩნდა. მან მთელი
ეპოქა შექმნა აფხაზეთის კულტუ-
რულ ცხოვრებაში, როგორც ხელო-
ვანმა და როგორც ახალგაზრდა
მხატვრების პედაგოგმა”.

“ჩვენ არ გვაქვს ამგვარი ისტო-
რიული მისიის მქონე ადამიანების
დავინწყების უფლება, რადგან ამით
კავშირს ვწყვეტთ აფხაზეთთან, სა-
დაც აუცილებლად უნდა დავბრუნ-
დეთ”, - თქვა ალბომის შემდგენელ -
რედაქტორმა ნატო კორსანტიამ.
აქვე უნდა ითქვას, რომ ალბომის
დიზაინერია დავით ბაძალუა.

შემდეგ სალამო წარმართა ხე-
ლოვნებათმცოდნე მანანა გიგიბე-
რიაშვილი. მან ჭოლა კუკულაძეს უწოდა
„არაორდინალური, მრავალმხრივი
ხელოვანი, რომლის ნამუშევრებიც



ჭოლა კუკულაძე

გამოირჩევა არა მარტო ავტორისე-
ული ხელწერით, არამედ პიროვნუ-
ლი, მოქალაქეობრივი პოზიციითაც.
სამყაროს მისეული აღქმა ძალიან
ახლოა ვაჟასეულ ფილოსოფიას-
თან. ნამუშევრებში კი ნათლად
იკითხება მოწესა და სეზანისეული
მხატვრული ესთეტიკის გავლენა”.

ჭოლა კუკულაძეზე, როგორც გა-
მორჩეულ პედაგოგზე, მოწაფეთა
სახელით ისაუბრა პროფესორმა სო-
სო ასათიანმა: „მე სოხუმში ერთ ხანს
ჭოლა კუკულაძის სახლში ვცხოვ-
რობდი და მისი ყოველდღიური საქ-
მიანობის მოწმე ვიყავი. მან ჩემს
თვალწინ მოკიდა ქანდაკებას ხელი
და საოცარ სიმაღლეზე აიყვანა”.

გამოფენაზე წარმოდგენილი
იყო ჭოლა კუკულაძის შემოქმედე-
ბის მხოლოდ ნაწილი, რადგან მათი
უმეტესობა დაცულია სოხუმში და
ბელოღრესიაში, სადაც ის მეორე
მსოფლიო ომის დროს იბრძოდა. სა-

ინტერესოა, რომ გმირი პარტიზანი
ომისგან მოცალეობის ჟამს, რომე-
ლიმე ფიჭვის ქვეშ ჩამოჯდებოდა და
სასწაულებრივად მოხელთებულ
მუყაოზე თუ ტილოს ნაგლეჯზე ხა-
ტავდა.

ჭოლა კუკულაძე იშვიათი ურთი-
ერთობების ადამიანად მოიხსენია
სვეტლანა ქეცბამ, აფხაზეთის სუ-
ლიერებისა და კულტურის ცენტრის
ხელმძღვანელმა. ხოლო სოხუმელმა
მერაბ ემუხვარმა ეს თემა განავრ-
ცო: ჭოლა კუკულაძემ საერთოდაც
„ადამიანური ურთიერთობები, სიყ-
ვარული ახლოობისადმი ასწავლა
მეგობრებს, კლასელებს, მეზობ-
ლებსო”.

ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომა-
რის მოადგილემ დავით ცირამუამ
ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ
ჭოლა კუკულაძის შემოქმედება, სა-
ოცარ ტექნიკასთან ერთად, თავი-
სუფლების უდიდესი ხარისხით გა-

მოირჩევა და რომ “მის შემოქმედე-
ბას ვერც ერთ ეტაპზე ვერ შეეხო
იდეოლოგიის მარწმუნები”.

“ჭოლა კუკულაძე სოხუმის კო-
ლორიტული პიროვნება იყო, - თქვა
გია გვაზავამ, აფხაზეთის უმაღლე-
სი საბჭოს თავმჯდომარემ, - ის იყო
მხატვარი, რომელიც აფხაზეთსაც
ეკუთვნოდა. ამიტომაც ვერ გაუბე-
დეს აუგი, როცა ის სოხუმის ქუჩებ-
ში საქართველოს დროშით გამოვი-
და”.

პრეზენტაციაზე საგანგებოდ
მოვიდა პროფესორი ნოდარ ტაბიძე,
რომელზეც განსაკუთრებული შთა-
ბეჭდილება მოახდინა ჭოლა კუკუ-
ლადის ნამუშევრებმა “გალაკტიონი
და ზღვა” და “გალაკტიონ ტაბიძე”.
მან ამაზე ალბომში დაბეჭდილ წე-
რილშიც დაწერა. პრეზენტაციაზე
გამოსვლისას კი აღნიშნა, რომ “ქმ-
მარიტი ხელოვნების მოყვარულთ
არა აქვთ უფლება, თავი არ დახა-

რონ ამ შესანიშნავი მხატვრის წინა-
შე”.

ცისანა მჭედლიძემ, საქართვე-
ლოს მხატვართა კავშირის თავმჯ-
დომარემ გამოკვეთა ჭოლა კუკუ-
ლადის, როგორც აფხაზეთის მხატ-
ვართა კავშირის თავმჯდომარის საქ-
მიანობა, “რომელიც ყველანაირად
ცდილობდა დახმარებოდა აფხაზე-
თის მხატვრებს, პოპულარიზაცია
გაენია მათთვის”.

„მე დიდ ხანს ვფიქრობდი ამგვა-
რი სალამოს მოწმობაზე, - თქვა ბო-
ლოს ჭოლა კუკულაძის ვაჟმა, ცნო-
ბილმა ექიმმა ლადო კუკულაძემ, -
თავს ვიკავებდი იმიტომ, რომ მისი
ნამუშევრების მხოლოდ ნაწილი
გვქონდა და სრულ სურათს ვერ
შევექმნიდით. ერთხელ სერგეი ბა-
ლაფშს შევეუთვალე კიდეც, ჭოლა
კუკულაძის სოხუმში დაცული ნამუ-
შევრები ჩვენთვის გადმოეცათ. მის-
გან კი ასეთი პასუხი მივიღე: ჭოლა
კუკულაძის შემოქმედება აფხაზი
ხალხის მონაპოვარიცაა და ისინი
აქაც საიმედოდ არის დაცულიო”.

ლადო კუკულაძემ ასევე ისაუბ-
რა ჭოლა კუკულაძის პიროვნულ თუ
შემოქმედებით თავისებურებებზე,
იმაზე, რომ “მასში ორი ადამიანი
სახლობდა: ერთი - ბოჰემური სტი-
ლის და მეორე - შრომისმოყვარე და
ხელოვნებაზე ფანატიკურად შეყვა-
რებული. თბილი ფერები უყვარდა
და დეპრესიული, ცივი ფერები სა-
ერთოდ არ ახასიათებდა. მისი
ხატვის პროცესი იმპროვიზებული
სპექტაკლის დადგმას ჰგავდა”. ლა-
დო კუკულაძემ ჭოლა კუკულაძის
გახსენებისთვის მადლობა გადაუ-
ხადა აფხაზეთის განათლებისა და
კულტურის მთელ სამინისტროს,
მათ შორის სამინისტროს კულტუ-
რული მემკვიდრეობისა და კულტუ-
რის სამმართველოს უფროსს გია
ფარცვანიას და მთავარ სპეცია-
ლისტს კახაბერ ძაძაძიას.

როგორც მანანა გიგიბერიაშვილი
განაცხადა, ჭოლა კუკულაძის
შემოქმედება მისთვის აღმოჩენა
იყო. საერთოდაც, იმ დღეს ჭოლა
კუკულაძის ნამუშევრები ბევრმა
ალიარა თავის აღმოჩენად.



ლადო კუკულაძე და
მანანა გიგიბერია

ათენის ფესტივალის საუკეთესო კოლექტივი

აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის მორიგი აღიარება



მაია შონია

26 აგვისტოდან 5 სექტემბრამდე აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი, ბერძნული მხარის მიწვევით, ათენში მესამე საერთაშორისო კულტურის ფესტივალში მონაწილეობდა. ანსამბლმა ფესტივალის საუკეთესო კოლექტივის ტიტული და მაყურებლის სიმპათია დაიმსახურა. წარმატებული იყო ფესტივალის პროგრამის ფარგლებს გარეთ ჩატარებული კონცერტებიც. ანსამბლის წარმატებულ გასტროლებზე და სამომავლო გეგმებზე მისი მხატვრული ხელმძღვანელი **გურამ ყურაშვილი** გვესაუბრება:

- აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის მიერ ათენში წარდგენილი პროგრამა საგანგებოდ შევადგინეთ. ხალხურ სიმღერებს გოგონათა გუნდი ასრულებდა. რეპერტუარში იყო კახური ნანა, მეგრული სიმღერების პოპური (ამ შემთხვევაში ჰიტებად ქცეული სიმღერები შევარჩიეთ), გურული, ასევე აფხაზური სიმღერები და ცეკვები და ა.შ. შევასრულეთ ბერძნული სიმღერებიც. რეპერტუარმა იმდენად დიდი მოწონება დაიმსახურა, რომ დისკებს გვთხოვდნენ.

ჩვენი ანსამბლი ფესტივალის საუკეთესო კოლექტივად დაასახელეს. მაყურებლის სიმპათიაც დავიმსახურეთ, მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ ძლიერი ფესტივალი იყო, მსოფლიოს ძალიან ძლიერი კოლექტივები მონაწილეობდნენ და შე-

საბამისად, დიდი კონკურენციაც იყო. მომავალ წელს ათენშივე გაიმართება ამ ფესტივალზე სხვადასხვა წლებში გამარჯვებული 12 საუკეთესო გუნდის კონცერტი, სადაც უკვე მიწვეულები ვართ.

- **ბუნებრივია, ყოველი წარმატება ნებისმიერ შემოქმედს სტიმულს აძლევს და კიდევ უფრო მეტის გაკეთების სურვილს უმძაფრებს.**

- რა თქმა უნდა, ასეა. მართო ის რად ღირს, რომ ქართული კულტურა გაგვაქვს ქვეყნის საზღვრებს გარეთ და ძალიან მაღალი დონის დარბაზებში სერიოზული მაყურებლის წინაშე წარვადგენთ. ეს ყველაფერი თავდაჯერებულ-



ბასაც გვმატებს. ხელოვანი ემოციურია, გაჩერება არ შეუძლია და მიღწეული არ აკმაყოფილებს. ეს ემოციები ჩვენც გვაქვს, მაგრამ ვაკეთებთ იმას, რისი საშუალებაც გავაჩნია. ჩვენი პრობლემაა მცირე ბიუჯეტი და კადრები. ჩვენ არ ვიმყოფებით აფხაზეთში, რომ იქ თავისუფლად შევარჩიოთ მოცეკვავეები. თბილისში გაზრდილ დევნილებში ძალიან გვიჭირს მათი მოძებნა.

- **ბატონო გურამ, თქვენ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლს კაპელასთან ერთად ხელმძღვანელობთ. რითია აღსანიშნავი**

მათი ამგვარი თანაარსებობა?

- სახელმწიფო ანსამბლისა და კაპელას ერთიანობა ხელს უწყობს შემოქმედებითი პროცესის გაუმჯობესებას. ისინი ერთმანეთს ავსებენ. კაპელას ბიჭები ანსამბლშიც მღერიან. ამასთანავე, ჩვენი კაპელა მხოლოდ აკადემიურ მუსიკას არ ასრულებს. გვაქვს საესტრადო ნომრებიც. ასე რომ, თანამშრომლობა საინტერესო და სასარგებლოა.

ანსამბლი დღემდე მუდმივი განახლების პროცესშია. ბოლო პერიოდში გასტროლებზე ვიყავით პოლონეთში, საფრანგეთში, იტალიაში, საბერძნეთში. ანსამბლს ჰყავს კარგი მოცეკვავეები და ძალიან საინტერესო ქორეოგრაფი - გუდაუთელი სერგო გეგეჭკორი, რომელიც ცნობილი ქორეოგრაფის თენგიზ სიგუას მონაფეა. მიმაჩნია, რომ ბატონი თენგიზი ერთ-ერთი საუკეთესო ქორეოგრაფი იყო საქართველოში.

ანსამბლი კარგ ფორმაშია და ამას მისი გამოსვლებიც ამტკიცებს. გამორჩეულად არის დადგმული ჩვენი აფხაზური ცეკვა, რომელიც აფხაზებსაც ძალიან მოსწონთ, გვეუბნებიან, რომ ამ დონეზე ისინიც ვერ ცეკვავენ. გვიანდა მაყურებლის წინაშე საანგარიშო კონცერტით წარვსდგეთ და მთელ საქართველოს ვაჩვენოთ, რომ ტოლს არ ვუდებთ სხვა კოლექტივებს.

- **რა მიგაჩნიათ ანსამბლის მთავარ პრობლემად?**

- ისევ და ისევ ფინანსური საკითხები. მინდა აღვნიშნო აფხაზეთის ახალი მთავრობის მხარ-



დაჭერა. საბერძნეთში გასამგზავრებელი თანხები ბატონ ვახტანგ ყოლბაიას, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის ძალისხმევით გამოგვიყვებს.

აუცილებელია სარეპეტიციო დარბაზის რემონტი. ზამთარში, ყინვაში მოცეკვავეებს ფეხი უცურდებოდა. ჯერჯერობით მაინც ვართმევთ თავს ყველაფერს, რადგან ჩვენი მოცეკვავეები პატრიოტები არიან. მათ კარგად იციან, რომ აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი ქართული ფესვების შენარჩუნებას, აფხაზეთში დამკვიდრებული ტრადიციის გაგრძელებას ემსახურება.

პოეტის დაბრუნება მკითხველთან

ნანა ჭანტური

„მწერლის სახლში“ გამართა ცნობილი ქართველი პოეტის, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის ყოფილი მინისტრის - ბატონ ჯანო ჯანელიძის პოეტური კრებულის - „ერთტომეულის“ პრეზენტაცია.

„წიგნში შესულია ჯანო ჯანელიძის მიერ სხვადასხვა დროს დაწერილი ლექსები. ამდენად, ძალიან კარგად ჩანს პოეტის მსოფლმხედველობა და დამოკიდებულება ამა თუ იმ საკითხისადმი. ასევე, ვეცადეთ, რომ თვალსაჩინო ყოფილიყო მკითხველისათვის ყველა ის იმპულსი, რომელიც უბიძგებდა პოეტს, განსაკუთრებული ხმა და ემოცია ჩაექსოვა თავის ლექსებში“, - ვკითხულობთ „ერთტომეულის“ ანოტაციიდან.

ეს დღე ხსოვნის საღამოც იყო, პოეტის კოლეგებისა და ახლობლების თავმჯერაც, ერთად განვლილი გზის გახსენებაც და ჯანო ჯანელიძის - ამ საინტერესო შემოქმედისა და პიროვნების პორტრეტული ბიოგრაფიის ახლებურად წარმოდგენაც.

საღამო გახსნა და აუდიტორიას მიესალმა პოეტის მეგობარი და თანამოკალმე, აფხაზეთის ლიტერატურისა და ხელოვნების შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარე - გენო კალანდია. მან



პრეზენტაციაზე

ზოგადადაც ისაუბრა ჯანო ჯანელიძის მრავალფეროვან სამყაროზე და მერე შეკრებილ საზოგადოებას კარგად ნაცნობი სტრიქონებიც მოაგონა.

„პირადი ტრავმებიც სხვა სიმძაფრეს იძენს, როცა ემოციით დამძიმებული სტრიქონებით პოეტი მკითხველს თავისი ქვეყნის სატკივარზე ესაუბრება. და იქმნება არაერთი ასეთი შთაბეჭდიანი სურათი: „სძინავს, საქართველოს სძინავს, სძინავს ჩემი შვილის საფლავში“, - აღნიშნა მომხსენებელმა.

„ერთტომეულის“ რედაქტორმა, აფხაზეთის ლიტერატურისა და ხელოვნების შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარის მოადგილემ, ახალგაზრდა პოეტმა მანონ ბულისკერიამ იმთავითვე გამოხატა თავისი პიროვნული პატივისცემა უფროსი მეგობრის მიმართ. „ბატონი ჯანო ადამიანთმოყვარე გახლდათ, გამოირჩეოდა განსაკუთრებული უნარით, თანაბრად მოფერებოდა დიდსა და პატარას. ამიტომაცაა უამრავი მიმდევნით ხასიათის ლექსები მის შე-

მოქმედებაში,“ - აღნიშნა მანონ ბულისკერიამ.

აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის ხელმძღვანელმა სვეტლანა ქეცხამ ისაუბრა ჯანო ჯანელიძის მიერ განათლების სისტემაში მიღწეულ შედეგებსა და დევნილობის პირველ წლებში არსებულ ურთულეს პრობლემებზე, მინისტრად ყოფნის დროს თავის კოლეგებთან ერთად მან წარმატებით რომ დაძლია.

აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრმა დიმა ჯაიანმა გაიხსენა გოგი ქავთარაძის მიერ სოხუმში დადგმული სპექტაკლი „ვინაც გაიგებს ჩუქურთმას ქართულს“, მასზე მუშაობის პერიოდი და, რა თქმა უნდა, ბატონი ჯანო ჯანელიძე, ამ დრამატურგიული ინსცენირების ერთ-ერთი თანაავტორი.

„ჩვენი ხსნა აფხაზეთის დაბრუნებაში; საქართველოს ფეხზე დადგომა დევნილების დაბრუნებით უნდა დაიწყოს. უაფხაზეთობა ყველასთვის სასჯელია. ამიტომაც ხშირად მეჩვენება, რომ თბილისმა ვერ შემეყვარა; არაერთხელ უთქვამს ეს ჩემთვის“, - ასე დაიწყო თავის გამოსვლა პოეტის მეგობარმა პაატა კოლუაშვილმა და იქვე დასძინა: „თბილისის ინტელიგენციამ იმით გამოხატა თავისი სიყვარული პოეტის მიმართ, რომ ყველაზე მყუდრო განსასვენებელი მოუჩინა მას“.

ჯანო ჯანელიძე აფხაზეთიდან დე-

ნილი პირველი პოეტი, ვინც დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონშია დაკრძალული. პოეტი მოიგონეს და მის შემოქმედებაზე ისაუბრეს აგრეთვე, დავით ტაკიძემ, ლონდერ ცაავამ, ოთარ ჟორდანია, ბადრი ქუთათელაძემ, აკაკი გასვიანმა, დავით გაბუნია. ოჯახის სახელით დამსწრე საზოგადოებას, მოწვეულ სტუმრებს მოდლობა გადაუხადა ოჯახის ახლობელმა ნუგზარ ბირკაიამ.

„ერთტომეული“ გამოცემა აფხაზეთის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერითა და აფხაზეთის ლიტერატურისა და ხელოვნების შემოქმედებითი კავშირის თაოსნობით (გენო კალანდიას საერთო რედაქციით).

კრებულის რედაქტორები არიან - ნუგზარ ანთელავა და მანონ ბულისკერია, შემდგენელი თათულო რუხაძე, მხატვარი გოგი წერეთელი.

როგორც აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ გია გვაზავამ აღნიშნა, „ჯანო ჯანელიძის პოეტური მემკვიდრეობა სიყვარულია ქვეყნისადმი და თხოვნაც ადამიანების მიმართ, მოვეფეროთ და გავეფრთხილდეთ ერთმანეთს“.

„მე ისევ მოვალ ადრე თუ გვიან“, - გვიანდრდა ჯანო ჯანელიძემ და ის საღამოც, ემოციებითა და შთაბეჭდილებებით სავსე, იყო პოეტის დაბრუნება თავის ერთგულ მკითხველთან.